# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჯდვერი სიტყვაა, ცყეილებით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, 11 დეკემბერი, 2013 წელი.

№239 (7367)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




## ოღონდ დემოკრატიამ იზეიმოს და ქვა-ქვაზეც ნუ დარჩენილა! ③

⊙ გთხოვთ ყურადღებას!

## რომ კვლავ არ დარჩეს ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა!

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ **ირაკლი ღარიბაშვილს**, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ბატონ **გიორგი კვირიკაშვილს**, სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ **შალვა ფიფიას** ②

## ლარი უბრალოდ, ჩქმეტა-ჩქმეტით უფასურდება! ④

ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რით არის გამოწვეული ლარის კურსის ცვლილება და არ ვამშვიდებდეთ, რომ „რეალურად არაფერი ხდება".

## საქართველოს საბჭოთა ტანკებისა და შვეულმფრენების გაყიდვა სურს ⑧



საქართველო ამერიკასთან და ისრაელთან აწარმოებს მოლაპარაკებას თავისი თავდაცვის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ

⊙ ოჯახური ძალადობა

## ჭირის მალვა საგანგაშო მდგომარეობამდე მიგიყვანს ⑦



## შემოვლითი რკინიგზის ⑦ შემოვლითი პრობლემები

⊙ კიკბოქსინგი

## ქართველთა ტრიუმფი ⑩

## უცხოეთიდან შემოსული გზავნილების დაზიანება-დასველება წვიმის ბრალი ყოფილა და არა ფოსტის... ⑨



## შესაძლოა, ჩხატარაშვილის გზას ყოფილი მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავაც გაუყენონ ⑤



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ფათერაკიანი დესანტი

# სააკაშვილი და მისი თანაგუნდელები, შესაძლოა, უკრაინაში აღარ შეუშვან



**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პარლამენტის დეპუტატები გივი თარგამაძე, გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე; აჭარის მთავრობის ყოფილი მეთაური ლევან ვარშალომიძე, — ეს საქართველოს იმ მოქალაქეების არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც, შესაძლოა, უკრაინაში შესვლა შეეზღუდოთ.**

**უკრაინული საინფორმაციო სააგენტო „უნიანის“ ინფორმაციით, ე.წ. შავი სია უმაღლესი რადას დეპუტატმა ოლეგ ცარევმა შეადგინა და უკრაინის საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს უკვე გადაუგზავნა.**

რადას დეპუტატის მიერ შედგენილ სიაში საქართველოს გარდა სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც მოხვდნენ, თუმცა დაახლოებით 4-ათეულკაციან ჩამონათვალში საქართველოს მოქალაქეები სხვებს ბევრად სჭარბობენ. უკრაინელი დეპუტატი მიიჩნევს, რომ სიაში შეყვანილი კონკრეტული პირები უკრაინის ოპოზიციას რჩევებით ეხმარებიან და ქვეყნის დესტაბილიზაციის მიზნით მოქმედებენ.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, დეპუტატი დავით საყვარელიძე, For.ge-სთან საუბრისას ცარევის „შავ სიას“ რუსული პოლიტიკის მხარდამჭერ ლონისძიებად აფასებს და მიიჩნევს, რომ ამგვარი ფორმებით რუსეთს რამე შედეგის მიღწევა გაუჭირდება.

**„რადას ერთ-ერთი დეპუტატის „ინიციატივა“- ე.წ. „შავი სიის“ შედგენა, ეს არის რუსული წნეხის, ხელების გადაგრეხის პოლიტიკის შედეგი და უშუალოდ უკავშირდება იმ მოვლენებს, რის გამოც მიმდინარეობს დღეს უკრაინაში პროტესტი. რუსეთისთვის რისკის შემცველია ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ჩავა, წინ აღუდგება რუსულ იმპერიალიზმს და მერე მხარს დაუჭერს რომელიმე ერის თავისუფლებას, განვითარებას და წინსვლას“,** — აცხადებს დავით საყვარელიძე.

მისივე განმარტებით, უკრაინის საპროტესტო აქციებზე ქართველების აქტიურობა იმითაც აიხსნება, რომ უკრაინისა და საქართველოს ბედი ერთმანეთთნ მჭიდროდ არის დაკავშირებული და ბუნებრივ პროცესს — ევროპაში საქართველოს და უკრაინის გაწევრებას წინ ვერავინ და ვერაფერი აღუდგება.

დავით საყვარელიძე არ გამორიცხავს, რომ რადას დეპუტატის ინიციატივა უკრაინის ხელისუფლებამ გაითვალისწინოს და მას და მის მეგობრებს ქვეყანაში შესვლაზე შეზღუდვები მართლაც დაუწესდეს.

**„რუსეთმა შეძლო და უკრაინა ამ ვითარებამდე მიიყვანა. ასეთ პირობებში საზღვარზე კონკრეტული პირების შეშვება-შეუშვებლობა გაცილებით ადვილად რეალიზებადია“,** — აცხადებს საყვარელიძე.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე კი მიიჩნევს, რომ უკრაინის ოპოზიციისთვის ქართველი ოპოზიციონერების მხარდაჭერის გამოცხადება დასჯადი არ უნდა იყოს და საქართველოს მოქალაქეები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაისაჯონ, თუ უკრაინის ტერიტორიაზე ამ ქვეყნის კანონმდებლობას დაარღვევენ.

**„საქართველოში ვანო მერაბიშვილის მხარდასაჭერადაც ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის დეპუტატები, მათ შორის იყვნენ ევროპარლამენტის წარმომადგენლები, მაგრამ ეს სოლიდარობის ჩვეულებრივი ფორმაა და არც შეიძლება მასზე სხვა კუთხით ვისაუბროთ“,** — განუცხადა For.ge-ს ზურაბ აბაშიძემ.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლება სოლიდარულია, რომ უკრაინა ევროკავშირის ასოცირებული წევრი გახდეს, თუმცა, კიევში გამართულ მიტინგებზე საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები არ დადიან და არც იმ ქვეყნის შიდა საქმეებში ერევიან.

პოლიტიკის საკითხთა ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი კი რადას დეპუტატის „შავ სიაზე“ საუბრისას უკრაინის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებს და მასთან დაკავშირებულ ერთგვარ სკანდალს იხსენებს, როცა საქართველოდან დამკვირვებლის სტატუსით ათასობით ადამიანი იყო წარგზავნილი.

**„არც ისე დიდი დროა გასული მას შემდეგ, რაც ბატონი სააკაშვილის ნებით და გივი თარგამაძის ქმედებით უკრაინას 2000-ზე მეტი ვაჟკაცი შეესია არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით და ცდილობდნენ, გარკვეული მანიპულაციების გზით ზემოქმედება მოეხდინათ საარჩევნო პროცესზე. ეს ხდებოდა იმ დღეებში, როდესაც უკრაინის მოსახლეობა ირჩევდა პრეზიდენტს. გარკვეული დროის შემდეგ კი მოწმე გავხდით უკრაინაში გაცილებით კეთილშობილური მიზეზით ჩასული დეპუტატებისა. მე ვიზიარებ პათოსს, რომელიც წარმოაჩინეს იქ გიორგი ბარამიძემ, გიორგი ვაშაძემ და სხვებმა, მაგრამ, სააკაშვილის გამოჩენა და იქაური ოპოზიციის დამოძღვრა ნამდვილად არის სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობა და ცოტა მეტი პასუხისმგებლობა რომ ჰქონოდა ამ პოლიტიკური ჯგუფის ლიდერს, შესაძლოა, მისი ცხოვრებაც სხვაგვარად განვითარებულიყო. დაუწესებენ თუ არა საქართველოს ცალკეულ მოქალაქეებს უკრაინაში შესვლაზე შეზღუდვებს, რადას დეპუტატების და უკრაინის შესაბამისი უწყებების გადასაწყვეტია“,** — აცხადებს For.ge-სთან სოსო ცისკარიშვილი.

პოლიტიკის საკითხთა ექსპერტი მიიჩნევს, რომ უკრაინის ოპოზიცია და მიტინგზე ევროინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით გამოსული მოქალაქეები საქართველოდან სოლიდარობის მიზნით ჩასული დელეგაციების მასპინძლობაზე უარს არ იტყვიან და რამე ტიპის გამწვავება უკრაინა-საქართველოს ურთიერთობაშიც არ არის მოსალოდნელი.

**უკრაინის რადას დეპუტატის „შავი სია“ კიევში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჩასვლის შემდეგ შედგა. 7 დეკემბერს სააკაშვილი ადგილობრივი ოპოზიციის ლიდერ ვიტალი კლიჩკოს შეხვდა, მოგვიანებით კი ევრომაიდანზე შეკრებილებს სიტყვით მიმართა და აღნიშნა: „თუ თქვენ გაიმარჯვებთ მეგობრებო, ისტორია იტყვის, რომ რუსეთის იმპერიის დასასრული სწორედ ევრომაიდანზე დაიწყო და თქვენ აუცილებლად გაიმარჯვებთ“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

მადლენა მაჭარაშვილი

პატრიარქი



## ვილოცოთ, რათა უკრაინაში მშვიდობა იყოს

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მრევლს კურთხევას აძლევს, უკრაინაში მშვიდობისთვის ილოცონ. როგორც ილია მეორის განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია შეშფოთებით ადევნებს თვალს კიევში ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს.**

**— შეშფოთებით ვადევნებთ თვალს კიევში ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს. შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, ბუნებრივია, დიდად ვწუხვართ. ამიტომაც ჩვენს მრევლს ვაძლევთ ლოცვა-კურთხევას, ილოცონ უკრაინაში მშვიდობისათვის.**

**ჩვენც, ჩვენი მხრივ, აღვავლენთ ლოცვებს და შევთხოვთ უფალს, გარდამოიხილოს ჩვენს მოძმე უკრაინელ ხალხზე, რათა მათ ეს რთული პერიოდი შეძლებისამებრ მშვიდობიანად განვლონ. უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით, — აღნიშნულია პატრიარქის განცხადებაში.**

ინტერპრესი

კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

**● გადაგვარებული სექსუალური ორიენტაციის არსებების ადვოკატი ჟურნალისტები შს მინისტრს წამოესივნენ — შენ როგორ ბედავ, რომ ხარ მორწმუნე, გყავს მოძღვარი, თანაც ბერი და ამ ყველაფერზე ღიად საუბრობო. საქმე ის არის„ რომ შს მინისტრისა და ჟურნალისტების დახურულ შეხვედრაზე ალექსანდრე ჭიკაიძეს ჰკითხეს — „17 მაისს რას აპირებთ, ისევ დაგვარბევთ თუ არაო?!“ ჰოდა, ამაზე მინისტრს უპასუხია, მე მორწმუნე კაცი ვარ, მოძღვარი მყავს, თანაც ბერიო. მოკლედ, მინისტრმა არაპირდაპირ მიანიშნა, რომ არ მოსწონს გარყვნილების დემონსტრირება. ამის თქმა იყო და ატყდა ამბავი — ცნობილი ტელეჟურნალისტები წაესივნენ, ჩვენ არ გვინდა ასეთი შინაგან საქმეთა მინისტრიო. ამ წასეულებს ერთმა უკარგესმა ჟურნალისტმა გადაჰკრა მათრახი — მეამაყება რომ მორწმუნეა, მართლმადიდებელია და ამის გამო თქვენთან თავის სამართლებელი არაფერი აქვსო. აბა დაწერეთ ახლა ვინ წაესიეთ ჭიკაიძეს!**

**● ადრე თოვლის პაპა იყო, ახლა სანტაა, არაა ? მიგიჭირხნეთ სანტა.**

**● სანამ ჩვენ კიევის ამბებით ვართ აჟიტირებული და ამით ვიოხებთ გულს, „ნაცები“ ამასობაში, რაღაცა ახალ „პადლიანკას“ ხარშავენ ადგილობრივად. ფრთხილად!**

**● ვერ გავიგე — დაარბიეს კიევში ვინმე და იმდენი არიან, რო არ ეტყობათ, თუ „სლუხებია“ ეგ დარბევა? აგერ ვუყურებ და დადის გაღიმებული ხალხი ჩვეულებრივად.**

**● არ გამოვრიცხავ, ქართველ მამულიშვილთა ჯგუფი ბრტყელ-ბრტყელ ტექსტებს რომ გაჰკივის კიევის თავიანთი გრძელი ლიდერიანად, კადრს მიღმა ბერკუტ ზონდერ ჯგუფებს ინსტრუქტაჟს უტარებდეს დარბევა, დაპატიმრება-პროვოკაციებზე.**

**● ასეთი რეზონანსი რომ ჰქონოდა, ასე ინტენსიურად გაეშუქებინა თუნდაც იმ უკრაინას 7 ნოემბერი თუ 26 მაისი ასეთი სავალალო შედეგები არ გვექნებოდა, აღარ ვამბობ ე.წ. „პარაოზ“ ევროპულ ქვეყნებზეც მათ ჩვენთან ხომ ყველაფერი აჟურში ეგონათ. კარლ ბილწისთვის რომ გეკითხათ, აქ დემოკრატიის ოაზისი იყო, ჩვენ შევძელით სწორედ მარტოებმა და ყველასგან მიტოვებულ-გარიყულებმა, თუკი „ნაცების“ იქ ჩასვლა უკრაინას ევროპაში შეაქანებს, ვინ ოხერი წინააღმდეგი იყოს, მარა მე უფრო ცარევს ვემხრობი. მაგათ მხოლოდ ვანუატუში უნდა იარონ, ჩერეზ ქაბული...**

**● გიორგი პაპუაშვილი... კიდევ ერთი სისტემის მსხვერპლი, მიშას მიერ ფრთებდაჭრილი ანგელოსი. დანაშულებრივ რეჟიმს „აპრავებდა“ იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არა ჰქონდა... სატირალი არაა ახალ აი ყოლიფერი?**

**● „ქალი ვიცი ქუხნაში!“ და “გოგოს რად უნდა ამდენი სწავლა?!“ — რომ დააწერ მთელ ვაკეში ტროტუარებზე და ამაში 10,000 დოლარს აიღებ!.. ქალთა უფლებების დასაცავად ბრძოლის მაგარი მეთოდია, როზა ლუქსემბურგს ვფიცავ!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძე

გთხოვთ ყურადღებას!

## რომ კვლავ არ დარჩეს ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა!

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს,
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს
ბატონ გიორგი კვირიკაშვილს,
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ შალვა ფიფიას

**ბატონებო, უწინარესად ბოდიშს გიხდით იმისთვის, რომ თავს უფლებას ვაძლევ, თქვენ, უმნიშვნელოვანესი საქვეყნო საქმეებით ესოდენ გადატვირთულებს, გაზეთის მეშვეობით შეგეხმიანოთ. თუმცა, იმის შეგრძნებამ, რომ მეც მხოლოდ საქვეყნო მნიშვნელობის საქმე მამოძრავებს და არა პირადი, გამიიოლა ამგვარი გადაწყვეტილების მიღება.**

**საკითხი, რის გამოც გაწუხებთ, მევენახეობას ეხება. ის, რაც დღეს ამ დარგში ხდება, 21-ე საუკუნეს არ ეკადრება! და ეს მით უფრო არ ეკადრება საქართველოს — ვაზისა და ღვინის სამშობლოს!**

**ლაპარაკია იმაზე, რომ დღეს, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს მევენახეთა აბსოლუტური უმეტესობა ვაზს კვლავაც ზურგის აპარატით წამლავს დ ვენახში ნიადაგსაც ცხენით ხნავს. ის მევენახეები კი, რომლებიც ამ სამუშაოებს მექანიზაციით და ტრადიციული მეთოდებით ასრულებენ, ათი ათასობით ჰექტარი მიწის ფართობს კარგავენ მცირემიწიან საქართველოში, ჩემი გამოგონების დანერგვით კი ამას თავიდან ავიცილებთ.**

**მეტისმეტ თავდაჯერებულობასა და, მით უფრო, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ეს ყოვლად მიუღებელი-მოუთმენელი ვითარება რადიკალურად და სასიკეთოდ შეიცვლება, თუ წარმოებაში დაინერგება ჩემი გამოგონებები.**

**მრავალგზის და სხვადასხვა ხერხით, მათ შორის მასმედიითაც, ვცადე მათი პრაქტიკული გამოყენებისთვის წინა ხელისუფლების ყურადღების მიპყრობა, რაც, მერწმუნეთ, საქმისთვის უთუოდ ძალიან მომგებიანი იქნებოდა, მაგრამ... რა დაგიკარგავს, რას ეძებ!**

**დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, ვისი წყალობითაც, პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ და, მეზვრემ წლეულს უკვე იგრძნო საგრძნობი შვება, წინანდელივით უყურადღებოდ არ მოეკიდება ჩემს თხოვნას.**

**გთხოვთ, მცირე ხნით მიმიღოთ და წარმოგიდგენთ კონკრეტულად გადაწყვეტილ ინტენსიურ მიმართულებას მევენახეობაში.**

პატივისცემით,
თამაზ ქვლივიძე,
საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი, საგარეჯო.

# „კინტაური“ ევროპულად, – შენ დაუკა!..

**დემოკრატიის** გამარჯვების სახელით, კიევში მიმდინარე მოვლენებმა ნოდარ დუმბაძის ერთი ხუმრობა გამახსენა და ამ წერილს მისი მცირე ინტერპრეტაციით დავიწყებ: დემოკრატიისთვის ისეთი დაკა-დაკა ატყდება, რომ მალე დედა შვილს არ აიყვანს ხელში!

ჩვენს გაზეთში ამ რამდენიმე ხნის წინათ ვწერდი იმ ე.წ. „აგრესიულ დემოკრატიაზე“, რომელიც კაცობრიობის ცივილიზებული (ნამდვილად ცივილიზებული და არა დამახინჯებული და გაუკუღმართებული) ნაწილის სამწუხაროდ, კიბოს მეტასტაზებივით მოედო აღმოსავლეთ ევროპასა და აზიის ქვეყნებს.

არ დავიწყებ იმაზე საუბარს, რომ ყველა ტოტალიტარული სახელმწიფო ე.წ. „პროგრესული იდეების“ გავრცელებას, „ჩაგრული ადამიანების გათავისუფლებას“ თეატრის გრიმიორის ოსტატობით ირგებს და ცხვრის ტყავში გადაცმული მგლის მენტალიტეტით ანადგურებს ქვეყნების ლიდერებს, ეკონომიკას, ტრადიციებსა და მომავალს.

ამ უდიდეს პრობლემაზე ბევრი რამ დაწერილა და თქმულა. გამოქვეყნებულა სხვადასხვა ექსპერტისა თუ რომელიმე კონკრეტული დარგის სპეციალისტის მოსაზრება. გამოთქმულა პროგნოზები და დასახულა გადარჩენის, დიახ, სწორედაც რომ გადარჩენის გზები.

არის საუბრები ჩრდილოვან ხელისუფლებაზე, მასონებზე, რამდენიმე ოლიგარქის მიერ მსოფლიო ეკონომიკის მართვაზე. მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების მიერ ნებისმიერი ბიზნესის (არა აქვს მნიშვნელობა ავიამშენებელი ქარხანა იქნება, თუ უბრალო ჯიხური) კონტროლის სურვილზე.

საზოგადოების ამ შეშფოთებას საკმაოდ წარმატებულად უპირისპირდება პიარ-კამპანიის „შესანიშნავი“ მეთოდი, ანუ პრობლემის სრული იგნორი. რეალური ფაქტების გაბიაბრუება, ღიმილით ნათქვამი ფრაზა: — კარგით რა, რა დროს მასონებზე და ჩრდილოვან ხელისუფლებაზეა საუბარი. გარეთ ოცდამეერთე საუკუნე დგასო.

ყველაზე საინტერესო და შემაშფოთებელი კი ის არის, რომ ამ პიარში ყველაზე აქტიურად საზოგადოების საკმაოდ ინტელექტუალური და მართლაც რომ პროგრესულად მოაზროვნე წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას. რეალური ინფორმაციის ნაკლებობა (ფაქტობრივად, არარსებობა) მათ ოპონენტებს ძალიან ცუდ, წამგებიან პოზიციაში აგდებს და ასეთ დროს რატომღაც XIX საუკუნის შესანიშნავი პოეტის, შარლ-პიერ ბოდლერის ცნობილი გამოთქმა — „ეშმაკის ყველაზე დიდი ტყუილი ის არის, რომ დაგვარწმუნოს თავის არარსებობაში“, მახსენდება.

მოდით და მასონები, ისტორიული შეთქმულებების თეორიები, სიონელი ბრძენები და სხვა მსგავსი მოსაზრებები გვერდზე გადავდოთ (ისე მაგარია არა, როცა ასეთ რაღაცებს, თუ ვიღაცებს „გვერდზე რომ გადადებ“) და ბიზნეს ინტერესებზე ვისაუბროთ. იმ ბიზნესინტერესებზე, რომელთა გამტარებლები დემოკრატიისა და ნათელი მომავლის ნიღაბს ამოფარებულნი სისხლში ახშობენ მათი ნამდვილი მიზნების წინააღმდეგ გამოხატულ არა მხოლოდ აქტიურ ქმედებას, არამედ გამოთქმულ ნებისმიერ მოსაზრებასაც კი.

სამწუხაროდ, ასეთ დროს ნამდვილი დემოკრატია, ადამიანების სწრაფვა, აშენოს, შექმნას რაღაც ახალი, კაცობრიობისათვის სასარგებლო ფესვებზე საუკუნეებგავლილ წარსულზე დაყრდნობით აღზარდოს მომავალი, იღუპება. იღუპება საერთაშორისო სამხედრო მისიების მიერ მოწყობილ სასაკლაოებზე, თუ საკონცენტრაციო ბანაკებში.

სამწუხაროდ, იგნორის პიარის შემსრულებლები თავიანთი დუმილით, თავიანთი ინფანტილური დამოკიდებულებით ხელს უწყობენ აგრესიული დემოკრატიის გავრცელებას და ხშირ შემთხვევაში ისინი თავად გამოდიან აგრესიის „გამპრავებლებად“.

თანამედროვეებზე არაფერს ვიტყვი, რადგანაც მედიასაშუალებების მეშვეობით, ყველანი კარგად ვხედავთ ასეთ ექსპერტებს და პოლიტოლოგებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ მათს აბსოლუტურ უმრავლესობას არანაირი ბიზნესინტერესი არ გააჩნია და, სამწუხაროდ, მართლა დარწმუნებულია, რომ „ოღონდ დემოკრატიამ გაიმარჯვოს და თუნდაც ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა“.

## ოღონდ დემოკრატიამ იზეიმოს და ქვა-ქვაზეც ნუ დარჩენილა!



კარლ ლიკბნეხტი, სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მთელი ცხოვრება მილიტარიზმის წინააღმდეგ იბრძოდა **(„მილიტარიზმი კაპიტალიზმის უმთავრესი საყრდენია“ 1904 წ., „კრუპი, რომელიც ქვემეხების მეფეა, სხვა სამხედრო მრეწველებთან ერთად ომის მთავარი გამჩაღებელია“ 1913 წ.), 1914 წლის ოთხ აგვისტოს, რაიხსტაგის სხდომაზე დაეთანხმა გერმანიის აგრესიას და ფრაზით: „როდესაც ახლად ფეხადგმული გერმანული მრეწველობა გაშლილ სუფრასთან მივიდა, მას ყველა ადგილი დაკავებული დახვდა. ამიტომ იგი იძულებულია დაიცვას თავისი ინტერესები“,** გაამართლა იგი.

ბოლშევიკები კომუნიზმის გამარჯვების სურვილით და საყოველთაო თანასწორობის ლოზუნგით ანადგურებდნენ „წარსულს“.

ჰიტლერი ბოლშევიკების მიერ დამონებული ხალხების გათავისუფლების „დროშით იბრძოდა“.

სამწუხაროდ, ზუსტად იგივე პათოსი ისმის „აგრესიული დემოკრატიის“ „გამპრავებელთა“ ფრაზებში. ისინი არა მხოლოდ ამართლებენ ყველანაირი საშუალებებით ხელს უწყობენ იმ საშინელებებს, რაც დღეს დემოკრატიის სახელით ხდება.

ლიბია დემოკრატიის გამარჯვებამდე:

1. ბენზინი წყალზე იაფი ღირდა. 1 ლიტრი 0,14 დოლარი.
2. ახალდაქორწინებულებს სახელმწიფო ჩუქნის 64 000 დოლარს ბინის შესაძენად.
3. განათლება და ჯანდაცვა მთლიანად უფასოა.
4. უმუშევრების დახმარება თვეში 730 დოლარი.
5. ყოველ ახალშობილზე სახელმწიფო 7000 დოლარს იხდიდა.
6. მცირე ბიზნესის წამოწყებისთვის, სახელმწიფო ერთჯერადად 20 000 დოლარს გასცემდა.
7. საზღვარგარეთ განათლების მიღებას და სტაჟირებას სახელმწიფო უზრუნველყოფდა.
8. მრავალშვილიანი ოჯახებისთვის შექმნილი იყო სპეციალური მაღაზიების ქსელი, სადაც ყველა პროდუქტი სიმბოლურ ფასებში იყიდებოდა.
9. არსებობდა აფთიაქების კატეგორია, რომლებშიც მედიკამენტები უფასოდ გაიცემოდა. წამლების გაყალბება სიკვდილით ისჯებოდა.
10. მოსახლეობისთვის ბინის ქირა და ელექტროენერგიის გადასახადი გაუქმებული იყო.
11. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მუამარ კადაფიმ ქვეყნიდან გააძევა საერთაშორისო კორპორაციები.
12. შავკანიანთა უფლებები გაუთანაბრდა თეთრკანიანთა უფლებებს.
13. ლიბიის მოსახლეობა სამჯერ გაიზარდა.
14. ბავშვთა სიკვდილიანობა ცხრაჯერ შემცირდა.
15. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 51.5-დან 74,5-მდე გაიზარდა.

და იყო კიდევ უამრავი სოციალური სიკეთე, რომლებიც დემოკრატიის გამარჯვებას შეეწირა.

2011 წლის აპრილში აფრიკული ქვეყანა კოტ დ'ივუარში სამშვიდობო მანდატით მყოფმა 12300—მა ფრანგმა სამხედრომ და გაეროს მანდატით მყოფმა 9000-იანმა სამშვიდობო ჯარმა „დემოკრატია დაამყარა“.

დემოკრატიის სახელით მოსულმა პრეზიდენტმა ალასან ოუატარამ თანამოქალაქეებისადმი მიმართვისას განაცხადა: „ჩემი შეიარაღებული ძალები დემოკრატიისა და ხალხის საარჩევნო უფლების დასაცავად მოქმედებს“.

რა მოხდა სინამდვილეში: როგორც მოგეხსენებათ, კოტ დ'ივუარი კაკაოს ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყანაა, მაგრამ მოსახლეობა ამ სიკეთიდან, ფაქტობრივად, ვერაფერს ვერ იღებს. ვერ იღებს იმის გამო, რომ კაკაოს მწარმოებელი კომპანიები საერთაშორისო კორპორაციების ხელშია. ასევე არსებობს ხელშეკრულებები, რომელთა ძალითაც კოტ დ'ივუარს საკუთარ ქვეყანაში წარმოებულ პროდუქტზე არანაირი უფლება არ გააჩნია. სანქციებმა და კაკაოს ექსპორტზე ბოიკოტმა, ქვეყანა, რომელიც კაკაოს მარცვლის უდიდესი მწარმოებელი და დასავლეთ აფრიკის მეორე ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოა, მუხლებზე დააჩოქა, რამაც ბანკების ერთ თვეზე მეტი ხნით დახურვაც გამოიწვია.

თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ეს უკვე ყველასთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ ასევე კარგად ჩანს, რომ „დემოკრატია“ და „ამომრჩევლის უფლებები“ ნამდვილად არაფერ შუაშია.

დემოკრატიის სახელით დაბომბილი ბელგრადი. სეპარატიზმის კერებად ქცეული ევროპული ქვეყანა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ წარმატებული ეკონომიკა და წარმატებული სახელმწიფო მოწყობა ჰქონდა.

არ მინდა, დაგამძიმოთ იმ საშინელებების გახსენებით, რაც იუგოსლავიაში ხდებოდა. ესეც ყველამ კარგად იცის.

ვრცელდება „დემოკრატია“. ვრცელდება უზომო ძალადობით, ზეწოლით. ბავშვების, ქალების, ჯანსაღი მამაკაცების ფიზიკური განადგურებით. ხდება მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება.

აგრესიული დემოკრატიის გავრცელებაში ყველაზე საშინელ იარაღს თანამედროვე ტექნოლოგიების მაქსიმალური ჩართულობა წარმოადგენს.

თუ „დასავლური ღირებულებების“ გავრცელების მიზნით ჯვაროსნები კონსტანტინოპოლს ჩვეულებრივი შარაგზის ყაჩაღების მეთოდებით ძარცვავდნენ, თუ პოლონელები „ევროპასთან“ დაახლოების მიზნით უკრაინას პირველი შესაძლებლობისთანავე აოხრებდნენ, თუ ინგლისელები ამერიკის მკვიდრ მოსახლეობას ფიზიკურად ანადგურებდნენ და გადარჩენილებს რეზერვაციებში ათავსებდნენ, თუ . . . მკვიდრ მოსახლეობას მხოლოდ უხეში იარაღის ძალით უსწორდებოდნენ, დღეს ყველა სახის მედიასაშუალება ახალი ადამიანის, ანუ ამორფული ხორცის გროვის შექმნას ემსახურება. ე.წ. პოლიტოლოგები, ექსპერტები, სხვადასხვა ჯურის მემონიტორინგეები და „სამოქალაქო საზოგადოების მშენებლები“, ყველა მეთოდის გამოყენებით ცდილობენ ჩაახშონ ის წმინდა ფასეულობები, რომელთა დასაცავად, რომელთა გადასარჩენად „არადემოკრატი და არაცივილური“ ერები საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ. აშენებდნენ, ქმნიდნენ მატერიალურ თუ კულტურულ ფასეულობებს.

ტყუილი! რეალობის აბსოლუტურად საწინააღმდეგო ფორმით წარმოჩენა არის აგრესორების ერთ-ერთი მთავარი იარაღი.

იხ. 4 გვ.

ალიან-ჩალიანი

## ჩვენი ისტორია ადამიანის უფლებების დაცვას ეფუძნება

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მიმართვას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

**„ადამიანის უფლებები ის ფუნდამენტია, რომელსაც საკაცობრიო კულტურა ეფუძნება. ადამიანის თანდაყოლილი სწრაფვა თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ განსაზღვრავდა პროგრესს ისტორიის ყველა ეტაპზე. ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში, იუდეურ-ქრისტიანულ ეთიკაში სრული სისავსით და სიცხადით გამოვლენილმა ამ სულისკვეთებამ მიმართულება მისცა მსოფლიოს პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ განვითარებას.**

**ქართული კულტურა მსოფლიო ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზენაესობა ჩვენი კონსტიტუციით აღიარებული და დაცულია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ჩვენი ისტორია სწორედ ამ ფასეულობებს ეფუძნება. თავისუფლების იდეალი უმთავრესი ორიენტირი იყო საქართველოს საუკეთესო მმართველების, პოეტების, ფილოსოფოსების, პოლიტიკური, რელიგიური თუ საზოგადო მოღვაწეებისათვის.**

**1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების მიერ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღება ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესის საბოლოო და შეუქცევადი გამარჯვებაა. მაგრამ, როდესაც მთელ მსოფლიოსთან ერთად ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს აღვნიშნავთ, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ ტრადიციას გაგრძელება და განვითარება სჭირდება, რომ ისტორიაში არასდროს დგება მომენტი, როდესაც თავისუფლება — საკმარისია, როდესაც სასურველ ვითარებას მივაღწიეთ და უფლება გვაქვს, მიღწეულს დავჯერდეთ, რომ თითოეული ადამიანის თავისუფლების მაქსიმალური უზრუნველყოფა მხოლოდ ყველა ჩვენგანის ყოველდღიური, უწყვეტი ძალისხმევითაა შესაძლებელი.**

**ინტერპრესი**

## საგანგაშო არაფერია...



# ლარი უბრალოდ, ჩქმეტა-ჩქმეტით უფასურდება!

**ეჰ, რას არ მოესწრება კაცი. იყო დრო, როცა მოსვენებული ვიყავით, მთელი ცხოვრება შეიძლება ისე გაგვეტარებინა, რომ ამერიკული დოლარი ერთხელაც არ დაგვსიზმრებოდა: არადა, ამ დროს ხვლიკისფერი ვალუტა თურმე მთელ დუნიას აზანზარებდა: დოლარის კურსი ავარდა! დოლარის კურსი ჩამოვარდა! იყო ერთი გულხეთქება და ციებ-ცხელება.**

თურმე სადა ხარ! ერთ მშვენიერ დღეს „ხვლიკი" ჩვენს ღარიბულ ბაზარზეც გამოჩნდა (როგორც ამბობენ, ბანანსა და პეპსის შემოჰყვა) და მთვლემარე ბანკირები და ბიზნესმენები სულ კინწისკვრით წამოყარა. მას შემდეგ რა აღარ გადავიტანეთ. „ხვლიკი" ჯერ ჩვენს პირველ ეროვნულ „ვალუტას" კუპონს დაეტაკა და ბდღვირი ადინა, შემდეგ, ის რომ მოინადირა, არცკი შერცხვა და ახალშობილი ლარის გალახვა მოიწადინა. მოიწადინა კი არა, ყველას გვახსოვს, რამდენჯერმე მაგრად შემოელახა.

გაგონილა ასეთი უსინდისობა, აბორიგენ ვალუტას უცხო შემოგივარდეს და საკუთარ ქვეყანაში აღარ გედგომებოდეს? აბა რა წესია, დოლარის შიშით ადგილობრივ ხელისუფლებას ღატაკი ხალხისთვის ხელფასები და პენსიებიც კი ვეღარ გაუზრდია. ეს უკანასკნელნი პატარა ფულს მოიგდებენ თუ არა ხელში, იმავ წუთში სავალუტო ბირჟაზე ლარის კურსი ვერცხლის წყალივით ჩამოქანდება(!)

**ბევრს შეიძლება ამ ხუმრობანარევ სიმართლეზე კიდევაც გაეღიმოს, მაგრამ ფაქტს სად გაექცევით, მით უფრო, ბოლო პერიოდის რეალობას, როცა ეროვნული ვალუტა ყოველდღიურ რეჟიმში უფასურდება. ლაპარაკია აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური კურსის შემცირებაზე, რომელმაც ბოლო დღეებში 1,7-იან ზღვარს გადააჭარბა. ეს ქვეყანაში ბოლო 3,5 წლის ყველაზე დაბალი ნიშნულია.**

ლარის კურსის ვარდნამ ბაზრის გარკვეულ სეგმენტში ფასების ზრდა უკვე გამოიწვია. საკასო ცვლილება უკვე დაეტყო ფარმაცევტულ და აგრარულ ბაზარსაც, სადაც ბოსტნეულსა და კარტოფილის ფასმა შესამჩნევად მოიმატა (ამას „საქსტატიც" ადასტურებს).

ამის დაჯერება არ სურს მთავრობას, რომელიც ეროვნული ვალუტის კურსის დაცემაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. ოპტიმისტურად არის განწყობილი ქვეყნის მთავარი ფინანსისტი **ნოდარ ხადური,** რომელიც ლარის ამჟამინდელ წაბორძიკებას მხოლოდ და მხოლოდ „სეზონურობას" უკავშირებს. „ქვეყანაში ბოლო ორი-სამი ლარის კურსის ვარდნა არის სეზონური და ამაში საგანგაშო არაფერია. საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს შესაბამისი რესურსი, რომ ეროვნული ვალუტის კურსი მხტომარე არ იყოს. ფასების მკვეთრი ზრდა გამორიცხულია და საახალწლოდ არც საკვებ პროდუქტზე და არც სხვა პროდუქტზე ფასების ზრდას არ ველოდებით".

დამაიმედებელია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის პოზიციაც, რომელიც აცხადებს, რომ „ლარის კურსთან დაკავშირებით განსაკუთრებული არაფერი ხდება. ეს არის ჩვეულებრივი მოკლევადიანი რხევები, რომელიც ლარის კურსს ყოველთვის ახასიათებდა. ამ ეტაპზე ეს დაკავშირებულია წმინდა წყლის სეზონურ ფაქტორებთან. რაც შეეხება მოკლე, საშუალო და გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას, მისი გარანტი ეროვნული ბანკია. ჩვენ ამისთვის გაგვაჩნია საფონდო ფინანსური და ადამიანური რესურსი და ეს წარსულში არაერთხელ დაგვიმტკიცებია".

აგაშენათ ღმერთმა! ასეთი გარანტიებისთვის, რასაც ფინანსთა მინისტრი და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იძლევიან, მადლობის მეტი რა გვეთქმის, თუმცა, ნათქვამის ჭეშმარიტებასთან დაკავშირებით, შესაძლოა, ეჭვის ჭიაც გაგიჩნდეთ, თუკი ლარის კურსის ამ უმნიშვნელო ცვალებადობით დაზარალებული რიგითი მოქალაქეების აზრსაც მოისმენთ. ასეთები კი დღევანდელ საქართველოში არც თუ ცოტანი არიან.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როცა ადამიანები თვალს ადევნებენ ლარის კურსის თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ ყოველდღიურ უკუსვლას, უჩნდებათ ერთგვარი შიში, ინფლაციური მოლოდინი იმისა, რომ მალე ყველაფერი გაძვირდება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, ვისაც ანაბარი ბანკში აქვს ლარზე გახსნილი და ტანჯვით მოგროვილი დანაზოგი ყოველდღე უუფასურდება.

„ძალიან მიჭირდა, — მეუბნება თბილისელი ვარდენ გულუა, — და რადგან ბანკმა შეღავათიანი კრედიტი არ მომცა, იძულებული გავხდი პროცენტიანი ვალი დოლარში კერძო პირისგან ამეღო, რომელსაც ახლა ყოველთვიურად 1000 დოლარს ვუხდი. დოლარს, რა თქმა უნდა, ლარით ვყიდულობ, რაც ჩემს გაჭირვებულ ყოფას კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდის. ამ ერთი თვის წინათ თუ 1000 დოლარში 1650 ლარი გადავუხადე, ახლა ის თანხა 1700 ლარამდე და მეტადაც გაიზარდა, ანუ ჩემი შემოსავალი 50 ლარით შემცირდა. თუ ლარის კურსის ვარდნა გაგრძელდა, რაც გამორიცხული არ არის, ბუნებრივია, ჩემი ზარალიც, მართლაც შესაბამისად დაუსრულებლად გაგრძელდება.

ასეა, ეკონომიკის ექსპერტთა აზრით, დღეს, როდესაც ლარის კურსი ეცემა, ეს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ცუდად აისახება, განსაკუთრებით კი მათზე, ვისაც ფინანსური ვალდებულებები აღებული აქვს უცხოურ ვალუტაში, ასევე იმათზეც, ვისაც ბინა თუ კომერციული ფართობი დოლარზე აქვს ნაქირავები.

რა თქმა უნდა, ის მცირედი მარცხიც კი, რასაც ახლა ეროვნული ვალუტა დოლართან ორთაბრძოლაში განიცდის, წამგებიანია როგორც ბიზნესის, ისე მოსახლეობისთვის, მაგრამ ამდენი „მასლაათის" შედეგ მაინც ვერ გავარკვიეთ, ლარის დევალვაცია მართლა „სეზონურია" (როგორც ამას მთავრობის ეკონომიკური გუნდი გვარწმუნებს) თუ რაღაც ობიექტური მიზეზებით არის გამოწვეული? ეს რომ დავადგინოთ, საკმარისია, გადავხედოთ შარშანდელ და შარშანწინდელ ლარის მერყეობას დოლართან მიმართებაში და უმალ დავრწმუნდებით, რომ მოცემულ პერიოდში ის ყოველთვის გულმშვიდი და სტაბილური იყო. მეტსაც გეტყვით, დეკემბერში, ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით, ლარზე მოთხოვნა ყოველთვის მზარდი იყო და მას დევალვაციის საშიშროება არასდროს ემუქრებოდა.

აბა, ახლა რამ ააღელვა სტაბილური ნაბიჯებით მოსიარულე ჩვენი ვალუტა? იქნებ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთა უნიათობამ და არაპროფესიონალურმა ნაბიჯებმა?

არაო, მიზეზი ეს არ არისო, საჯაროდ აცხადებს პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე.** მისი აზრით, „როგორც ფინანსთა, ისე ეკონომიკის მინისტრებმა თავიანთი საქმე საკმარისად კარგად იციან. მთავარი პრობლემა მთავრობაში ის არის, რომ ერთიანი სტრატეგია არ არსებობს. საქართველოში არის სისტემური კრიზისი და ამ კრიზისიდან გამოსვლა ცალკეული, გნებავთ, თუნდაც კარგი მინისტრების ინიციატივებით არ ხდება, ერთი შეხედვით, კარგი ხალხია მთავრობაში, მინისტრებმაც იციან თავიანთი საქმე, მაგრამ შედეგი არ არის".

**ექსპერტთა ერთი ნაწილი პრობლემას ფულის მასისა და ფულის კურსის ირეალურობაში ხედავს. საქმე ის გახლავთ, რომ ეროვნული ვალუტა — ლარი წლების მანძილზე უსაშველოდ მაღალ ნიშნულზე ხელოვნურად იყო მიბმული და გაჩერებული დოლართან მიმართებაში. „ნაცების" მთავრობას, როგორც თავად მოესურვებოდა, ისე ათამაშებდა ამ კურსს, ხან უსაშველოდ ააგდებდა, ხან ჩამოაგდებდა, რითაც სარგებლობდნენ დაყაჩაღებას ჩვეული ჩინოვნიკები და ბიზნესისა და ხალხის ხარჯზე დიდ „მაყუთს ღუნავდნენ". ახლა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლება ლარისთვის რეალური კურსის დაბრუნებას ცდილობს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს თანმიმდევრულად, ღიად და კონტროლს დაქვემდებარებულად და არა ხალხისგან მოფარებულად. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რით არის გამოწვეული ლარის კურსის ცვლილება და არ ვამშვიდებდეთ, რომ „რეალურად არაფერი ხდება".**

„ვეთანხმები მოსაზრებას და მეც ვფიქრობ, რომ საგანგაშო არაფერი ხდება და ეს პროცესი კონტროლირებადია, — აცხადებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ირაკლი ლექვინაძე,** — მაგრამ საჭიროა უფრო ცხადი განმარტებები. ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ, მაგალითად, უნდა გვითხრან რეალური მიზეზი ლარის კურსის თუნდაც უმნიშვნელო გაუფასურების პროცესისა — ეს უკავშირდება ინვესტიციების სიმწირეს თუ ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას? რა დასამალია, დღეს ბევრი ექსპერტი ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზად „სეზონურობას" კი არა, ქვეყნის ეკონომიკიდან სავალუტო სახსრების გადინებას მიიჩნევს. **ფაქტია, უცხოური ვალუტა გარბის ქვეყნიდან, ხდება ლარის ინტენსიური კონვერტირება უცხოურ ვალუტაში, ლარის მასა კი იზრდება. რატომ გადის უცხოური ვალუტა? იმიტომ, რომ აქ მისი გამოყენების არეალი თვიდან თვემდე ვიწროვდება, რადგან ქვეყნის ეკონომიკა პრაქტიკულად სტაგნაციაშია.**

სწორია თუ არა ლარის დევალვაციის ამ მიზეზის ახსნა? მთავრობის ეკონომიკური გუნდი ამის თაობაზე არაფერს ამბობს და მხოლოდ „სეზონურობის" ვარიანტით შემოიფარგლება და რადგან ეს ლარის უბრალო, ჩვეულებრივი რყევებია და განსაკუთრებული არაფერი ხდება, ხელისუფლება, ბუნებრივია, არც რაიმე ღონისძიების განხორციელებას გეგმავს. აღსანიშნავია, რომ ყველა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში, თუ ვალუტის რყევების გამო ფასები იზრდება, ხდება ინდექსაცია და, შესაბამისად, ხელფასები და პენსიებიც იზრდება. ჩვენთანაც სხვა ვინ უნდა იზრუნოს ამაზე, თუ არა ხელისუფლებამ?

**ოთარ ხუციშვილი**

## „კინტაური" ევროპულად, — შენ დაუკა!..

# ოღონდ დემოკრატიამ იზეიმოს და ქვა-ქვაზეც ნუ დარჩენილა!

(მესამე გვერდიდან) ხზოს აღტაცებით შეხვდა საქართველოს „პროგრესულად მოაზროვნე" ნაწილი აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულების პარაფირებას, „კინტაურის" თანხლებით.

გახმიანდა უამრავი პერსპექტივა. გამოჩნდა „სინათლე გვირაბის ბოლოს".

„გაიხარე, ქართველო წამებულო!" — შესძახეს ჩვენმა პოლიტიკანებმა და ხელმოწერაზე ნაცეკვი „კინტაურით" და „წადი შორს წადი, იქნებ სულაც გადამავიწყდეს" სიმღერით საქართველოს მომავალს, ქართველი ხალხის არჩევანს რესპუბლიკური პარტიის აგრესიული ლიბერასტული ფარდა ჩამოაფარეს.

ევროკავშირთან ინტეგრაციისგან გამოწვეულ აღტყინებაზე ნიკიტა ხრუშჩოვის ნათქვამი ფრაზა: — კომუნიზმი ჰორიზონტზე გამოჩნდაო, გამახსენდა.

ევროკავშირიც ჰორიზონტზეა. არადა, ჰორიზონტს რა მანძილითაც უახლოვდები, იმ მანძილით გშორდება.

ევროკავშირის ხუთმა ქვეყანამ „ევროვიზია 2014"-ში მონაწილეობაზე უარი თქვა. ბულგარეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, კვიპროსი და ხორვატია ამ მართლაცდა ლამაზ კონკურსს არასაკმარისი ფულადი სახსრების გამო ეთიშებიან. საქართველო ამ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას. მიიღებს, რადგანაც ჯერჯერობით ევროკავშირის წევრი ქვეყანა არ ვართ.

ყველას გვახსოვს ამ რამდენიმე წლის განმავლობაში საბერძნეთში განვითარებული ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც ევროკავშირისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლის გამო განვითარდა.

ამ რამდენიმე დღის წინათ საბერძნეთის პარლამენტმა იგნორირება გაუკეთა ე.წ. „რეკომენდაციებს" და 2014 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. კენჭისყრა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში გვიან ღამით დასრულდა. მთავარი ფინანსური დოკუმენტის შესახებ გადაწყვეტილება დადებითად შეაფასა საბერძნეთის მთავრობამაც.

დარწმუნებული ვარ, პორტუგალიაც გაიზიარებს საბერძნეთის მართლაცდა ღირსეულ ნაბიჯს და ევროკავშირული ჭაობიდან თავის დახსნას დაიწყებს.

ძვირფასო მკითხველო, ერთი წუთითაც არ იფიქრო, რომ გაშინებდე. ერთი წუთითაც არ იფიქრო, რომ დემოკრატიის, დასავლეთის და საერთაშორისო სტრუქტურებთან ინტეგრაციის მოწინააღმდეგე და ლენინის სურათით მორბენალი ანტიგლობალისტი ვიყო. უბრალოდ, მე სამწუხარო რეალობა დავინახე.

დავინახე, თუ როგორ ებრძვის „თანამედროვე დემოკრატია" არა მხოლოდ ადგილობრივ ეკონომიკას, არამედ რწმენას. კულტურას, ტრადიციებს, სულიერებას. მაგალითად, ნატოს ჯარების მიერ ჩრდილოეთ აფრიკაში გაღვივებული რელიგიური სეპარატიზმიც კმარა. „დემოკრატების" ბოროტებამ, მათმა სეპარატიზმმა და ამ აგრესიულმა დემოკრატიამ ნიუტონის მესამე კანონი აამუშავა. „ცივილურმა სამყარომ" შედეგად F=-F, ანუ ქმედება უდრის უკუქმედებას მიიღეს. ლიბანი სულ მალე შარიათის კანონების ქვეყანად გამოცხადდება.

იუგოსლავიაში დასავლური ღირებულებების სახელით განადგურებული უამრავი მართლმადიდებელი მონასტერი ნათლად გვაჩვენებს იმ „დემოკრატიის" ნამდვილ სახეს, რასაც „კინტაურით" შეხვდა ჩვენი პოლიტელიტა.

ამ წერილს კი საქართველოს ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ შოთა გორგოძის სიტყვების მცირე პერიფრაზით დავამთავრებ: დემოკრატია გინდებლარიენ? — Pleasure!

**გია გაბრიჭიძე**

ვის ხელში იყო კოჭლი სამართალი...

# შესაძლოა, ჩხატარაშვილის გზას ყოფილი მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავაც გაუყენონ





**დავით ჩხატარაშვილი ე.წ. მატროსოვის ციხის ბინადარი გახდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ყოფილი მთავარი პროკურორის მოადგილეს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. მოსამართლე ზვიად ესებუამ წინასასამართლო სხდომის თარიღიც ჩაინიშნა, სასამართლო 27 იანვარს გაიმართება. დავით ჩხატარაშვილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით 7 დეკემბერს დააკავეს.**

მას ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, დამამცირებელი, არაადამიანური მოპყრობის ორგანიზება, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია და დანაშაულის პროვოკაციის ორგანიზება.

პროკურატურის ინფორმაციით, იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა და დავით ჩხატარაშვილმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სხვადასხვა მაღალჩინოსნებთან ერთად დაგეგმეს და განახორციელეს ამავე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში რამდენიმე პატიმრის დამცირება, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებას, თითქოსდა სახელმწიფოს საგამოძიებო სტრუქტურებმა დროულად გამოავლინეს პატიმრების ცემისა და შეურაცხყოფის ფაქტები.

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, პროკურატურისთვის, როგორც ჩანს, არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ დავით ჩხატარაშვილი ჩართული იყო პატიმართა გახმაურებული საქმის ორგანიზებასა და დაგეგმვაში.

კითხვაზე, არის თუ არა სავარაუდო, რომ ყოფილი მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას დაკითხვა ან მისთვის ბრალის წაყენება მოხდეს, წულუკიანის განმარტებით, იუსტიციის მინისტრი არ არის საპროკურორო უფლებამოსილებით აღჭურვილი, აქედან გამომდინარე, მისთვის არ არის ცნობილი, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში დავით ჩხატარაშვილის დაკავებას.

**„დანარჩენი უკვე უნდა გაირკვეს გამოძიების პროცესში. აქამდე რაკი ჩხატარაშვილი დაკავებული არ იყო, მასთან გამომძიებლებს მუშაობა არ ჰქონიათ ჩატარებული, მაგრამ ეს მუშაობა ჩატარდება და გამოავლენს, სად არის სიმართლე. საბოლოო სიტყვა კი მოსამართლეს ეკუთვნის“,** — თქვა თეა წულუკიანმა.

საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მედიის წინაშე მისი მოადგილის სასამართლო პროცესზე გამოჩნდა. მურთაზ ზოდელავამ მოსამართლის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე კომენტარი არ გააკეთა, მაგრამ მისი მოსვლის მიზეზი განმარტა.

**— გარდა იმისა, რომ სამსახურებრივი ურთიერთობა გვქონდა, გვქონდა, ასევე, მეგობრული ურთიერთობაც და ამ შემთხვევაში მე აქ ვარ, როგორც მისი მეგობარი, რომელიც დაინტერესებულია, რა ბედი ეწევა მას. დანარჩენი კომენტარისგან თავს შევიკავებ,** — განაცხადა მურთაზ ზოდელავამ.

რაც შეეხება ჟურნალისტის კითხვას, შესაძლოა თუ არა, რომ სამართლებრივი საქმისწარმოება მის მიმართაც დაიწყოს, ზოდელავამ უპასუხა, რომ არ იცის. ის, რაც ზოდელავამ არ იცის, იციან პროკურატურაში. არაა გამორიცხული, ჩხატარაშვილის გზას ყოფილი მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა გაუყენონ.

მთავარ პროკურატურაში ადასტურებენ, რომ ამ მიმართულებით გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა, ოფიციალურ კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებენ.

საქმის პროკურორი ირაკლი ნადარეიშვილი for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ რა ეტაპამდე მივა გამოძიება, ამას უკვე შემდგომში მოპოვებილი მტკიცებულების საფუძველზე მიეცემა სამართლებლივი შეფასება. ნადარეიშვილის განცხადებით, გამოძიება გრძელდება და, შესაძლოა, გაიზარდოს ბრალდების მოცულობაც.

რაც შეეხება ყოფილ მთავარი პროკურორის დანაშაულებრივ კავშირს, პროკურორი განმარტავს:

— ყველაფერი დამოკიდებული იქნება გამოძიების მიმდინარეობაზე. მესმის თქვენი ინტერესი, მაგრამ ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით. დანარჩენს გამოძიების მიმდინარეობისას ნახავათ, როგორ წარიმართება. შემდგომი მოვლენების შესაბამისად გაკეთდება სხვა კომენტარებიც. გამოძიება გრძელდება და, შესაძლოა, გაიზარდოს ბრალდების მოცულობაც, — აცხადებს ირაკლი ნადარეიშვილი.

შეგახსენებთ, რომ მურთაზ ზოდელავამ პატიმრების წამების საქმეზე 2012 წლის სექტემბერში ორი პრესკონფერენცია გამართა. ის აცხადებდა, რომ პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალისთვის ვლადიმერ ბედუკაძემ 2 მლნ აშშ დოლარი მიიღო. ქვეყნის მთავარი პროკურორი ამტკიცებდა, რომ ვიდეომასალის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ ორი სახის დანაშაული იკვეთება — ერთი სისტემური და მეორე - ანგარებითი.

ზოდელავას განმარტებით, ბედუკაძე-ფურცხვანიძის დანაშაულებრივი ჯგუფი ამ სასტიკ დანაშაულს ანგარებით სჩადიოდა, რათა ვიდეომასალა მესამე დამკვეთი პირისთვის გადაეცათ. როგორც ზოდელავამ აღნიშნა, ბედუკაძე-ფურცხვანიძე ამ მესამე პირთან ელიზბარაშვილ-თამაზაშვილის მეშვეობით თანამშრომლობდნენ.

ჯერჯერობით უცნობია, მისცა თუ არა ჩვენება გამოძიებას ჩხატარაშვილმა მურთაზ ზოდელავას წინააღმდეგ, თუმცა, როგორც ცნობილია, ჩხატარაშვილის ჩვენების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის წინააღმდეგაც.

**თამთა ქარჩავა**

რეფორმა კი ჩასატარებელია...

# ვინც ნარმანიას მერობის კონდიდატად განიხილავს, თვითმმართველობის პროექტის ჩავარდნით ხომ არ არის დაინტერესებული?



**„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ დაკავშირებით საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებზე „ინტერპრესნიუსი“ ისტორიკოსსა და ანალიტიკოსს დავით ლოსაბერიძეს ესაუბრა**

**— ბატონო დავით, საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსზე“ ბრძანა — „თუ კანონი ამოქმედდება, ეს საქართველოს დაშლა იქნება“. ამ თემას საზოგადოებაში დიდი მითქმამოთქმა მოჰყვა. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა?**

— ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შორის — პოზიტიურიც და ნეგატიურიც. როცა ხორციელდება რეფორმა, რომელიც თვისებრივად ახალ მმართველობაზე გადასვლას გულისხმობს, ყველგან არის დისკუსია და აზრთა სხვადასხვაობა. შეუძლებელია, მთელი ერი იყოს ერთ აზრზე, ერთნაირად აზროვნებდეს და ერთ გადაწყვეტილებას იღებდეს. დემოკრატიულ ქვეყნებში ამ ტიპის ცვლილებებს თან ახლავს მწვავე პოლემიკა, დაობენ ცალკეულ ნიუანსებსა და დეტალებზე. ეს აუცილებელიც კია და რაც ახლა ხდება, მე ძალიან მახარებს.

ეპოქა, როცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კულუარულად მიიღებოდა და მოსახლეობა მის შესახებ მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ იგებდა, წარსულს ბარდება. ვგულისხმობ არა მარტო გასულ 20-წლეულს, ანაც 70 წელს, არამედ, თუ გნებავთ, გასულ ასწლეულსაც.

ჩვენთან აჟიოტაჟს კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ საზოგადოებას გაცნობიერებული არ აქვს მმართველობის ახალ ფორმაზე გადასვლა როგორ და რანაირად მოხდება. ჩვენ პოსტტოტალიტარული სახელმწიფო ვართ, ანუ იქიდან მოვდივართ, სადაც მმართველობის სისტემა აგებული იყო ერთიან ადმინისტრაციულ ვერტიკალზე. ახლა საქართველო აკეთებს არჩევანს — უნდა იყოს ევროპული ფასეულობების, ადამიანის უფლებების დაცვის პატივისმცემელი, ანუ იმის გამზიარებელი, რაც დასავლურ ქრისტიანულ ცივილიზაციად მოიაზრება, თუ უნდა გქონდეს აზიური ტიპის დიქტატურის მსგავსი მმართველობა, რომელიც იგივე საბჭოთა რეჟიმს ახასიათებდა. ამ უკანასკნელის მმართველობა თემურ ლენგმა გამოხატა თავისი ლოზუნგით — ერთი მზე, ერთი მბრძანებელი, ანუ ჩვენ, ქართველმა ერმა, ახლა უნდა გავაკეთოთ არჩევანი, როგორი მმართველობა გვინდა.

ბუნებრივია, ეს უკავშირდება ასევე იმას, განვითარების თუ რა გზა უნდა აირჩიოს ხალხმა, რა ტრადიციები გვაქვს ამ თვალსაზრისით. რაც უნდა საწყენი იყოს ჩვენთვის, დავივიწყეთ საკმაოდ საინტერესო ღირებულებები, რომელიც საქართველოს ისტორიულად ახასიათებდა. ყველას, ვინც ამ საკითხებით დაინტერესებულია, ვურჩევ წაიკითხოს თუნდაც ილია ჭავჭავაძის წერილების ორი ციკლი „სოფლის მოწყობის თაობაზე“. ეს არის ის, რაც ილიას გარდაცვალებიდან 100 წლის შემდგომ საფუძვლად დაედო თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას. რა თქმა უნდა, არა ილიას გამო, ევროპელებმა ის აქციეს სამოქმედო პრინციპად, რასაც საქართველოში მმართველობის შესახებ ილია ჭავჭავაძე ქადაგებდა.

მეორე საკითხია ღირებულებათა პრობლემა. აქ უკვე ცოტა ნეგატიურში გადავდივართ. ეს გახლავთ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების სურვილი, არანაირად არ დაუშვან რეფორმა, რისთვისაც იყენებენ დეზინფორმაციის საკმაოდ ცუდ მეთოდებს. არასწორ ინფორმაციას აწვდიან არა მარტო საპატრიაქროს, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. რეფორმის მოწინააღმდეგეებს რეგიონებში გააქვთ სულ სხვა ინფორმაცია. პატრიოტულად განწყობილ საზოგადოებას ეუბნებიან, თითქოს რეფორმა ეთნიკური უმცირესობების გაბატონებას ითვალისწინებს. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ავრცელებენ ხმებს, თითქოს რეფორმის შედეგად ქართველთა მონოპოლია დაწესდება.

ყველას აქვს უფლება, ბევრ რამეში შეიტანოს ეჭვი, მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს კონკრეტული, ანუ კოდექსის რომელი მუხლი იწვევს საფრთხეს და რეალურად ქმნის საფრთხის საფუძველს. სამწუხაროა, რომ კოდექსის კრიტიკოსები საკითხის მუხლობრივ განხილვაში მონაწილეობას გაურბიან და, ძირითადად, ხმაურიანი პოლიტიკური განცხადებებით არიან დაკავებული.

**— „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ პროექტში თქვენთვის ყველაზე ღირებული რა არის? და კიდევ, თქვენი ოპონენტების უმრავლესობა ხშირად საუბრობს იმაზე, რომ კოდექსის მე-7 კარი ქვეყნისათვის ყველაზე სახიფათოა. მათთვის, ვინც ასე ფიქრობს, როგორი იქნება თქვენი პასუხი?**

— ყველაზე ღირებულია რამდენიმე პრინციპი — 1. თვითმმართველობა არ უნდა წარმოადგენდეს სხვადასხვა საჭიროებისა და გაერთიანების კონგლომერატს. უნდა იყოს ჰომოგენური, ანუ მსგავსი ინტერესებით გაერთიანებული, ისტორიულად, ტრადიციულად და ეკონომიკურად ჩამოყალიბებული სივრცეები, სადაც ადამიანთა უმეტესობას აქვს საერთო ინტერესი. ეს არის ერთ-ერთი პრინციპი, რასაც ეფუძნება კოდექსი ქალაქებისა და სოფლების დონეზე.

იხ. 6 გვ.

## ◉ რეფორმა კი ჩასატარებელია...

(მეხუთე გვერდიდან) მეორე გახლავთ ის, რასაც ჰქვია მოსახლეობისათვის ჩართულობის ინსტრუმენტების მიცემა. დემოკრატიულობანას თამაში კი არ უნდა იყოს, არამედ საზოგადოება რეალურად უნდა იყოს ჩართული გადაწყვეტილებების მიღებაში და არსებობდეს ამ გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმი. ანუ, საუბარია მოქალაქეთა რეალური უფლებების ცხოვრებაში გატარებაზე. ვგულისხმობ იმ უფლებებს, რაც ყველგან თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთნება და ჩვენთანაც უნდა განეკუთნებოდეს.

აქ საუბარი არ არის პოლიტიკურ უფლებებზე, ამისათვის არსებობს პარლამენტი. საუბარია წყლის, გაზის, კანალიზაციისა თუ სხვა საკითხების, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, თუ საბავშო ბაღის პრობლემების ადგილზე მოგვარებაზე.

როცა პროექტში საერთოდ არ არის და არც შეიძლება იყოს საუბარი თვითმმართველობის პოლიტიკურ უფლებებზე, გაუგებარია, კოდექსის ოპონენტები ამ საკითხებზე რატომ ამახვილებენ ყურადღებას. ოპონენტთა ნაწილი დასავლეთის ორგანიზაციებს აწვდიან ინფორმაციას, თითქოს კოდექსში ადგილობრივი ორგანოებისთვის უფლებების გადაცემაზე საერთოდ არ არის საუბარი. კარგი იქნებოდა, თუ ოპონენტები თუნდაც, კვალიფიციურ ცილისწამებაში ჩამოყალიბდებიან. სიამოვნებით მოვისმენდი მათგან, თუ რა უფლებები გადაეცემათ ადგილობრივ ორგანოებს და იმასაც, თუ არ გადაეცემათ, რატომ არ გადაეცემათ.

კოდექსში საუბარია ისეთ საკითხებზე, რომლებიც ყველგან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაა. ნამდვილად არ ვიცი, რატომ არის კანალიზაციის ან წყლის საკითხის ადგილზე გადაწყვეტა პოლიტიკური საკითხი, რა საფრთხე შეიძლება შეუქმნას ამან სახელმწიფოს უსაფრთხოებას.

კოდექსში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გადანაწილების საკითხი. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა არ არის მდიდარი, კეთილდღეობის დონით არ გამოირჩევა.

ფაქტია, რომ ჩვენ შეზღუდული რესურსები გვაქვს, არსებული რესურსები უფლებამოსილებათა განსახორციელებლად საკმარისი არ არის, მაგრამ პირველ ეტაპზე საკმაოდ მარტივი და სამართლიანი პრინციპია შერჩეული. როცა ჩვენ 10-მილიარდიან ბიუჯეტში 2 მილიარდს ვახმართ რეგიონებს (რამდენად სამართლიანია ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგიონებისთვის 2 მილიარდის გამოყოფა ეს სხვა თემაა), მაგრამ საუბარია იმაზე, რომ ჩვენ იმ 2 მილიარდის დახარჯვასაც არ ვეკითხებით ადამიანებს, რომლისთვისაც რეალურად ეს თანხები გამოიყოფა. ახლა თანხები მათი სახელით იხარჯება, მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული, რომ რაშიც ეს თანხები იხარჯება, მათ ინტერესებში სულაც არ იყოს. ამის კარგი მაგალითია, როცა სოფლებში საქანელები დაამონტაჟეს. სოფლების უმეტესობაში პრობლემა საქანელა კი არა, სულ სხვა იყო. ის თანხა, რომელიც თვითმმართველობებზე მაინც იხარჯება, უკეთესი იქნება, თუ მათ ვკითხავთ მაინც, თუ რაში სჯობია თანხების დახარჯვა.

**— რაც შეეხება მე-7 კარის საფრთხეებს...**

— ოპონენტები ბევრს საუბრობენ, რომ გუბერნატორი ძალიან პოლიტიზებული ფიგურაა, ცენტრის დაქვემდებარებაშია, ცენტრის ფუნქციებს და თვითმმართველ ორგანოებზე ზეწოლას ახორციელებს, მათ ფინანსურად ზღუდავს, რაც სიმართლეს შეესაბამებოდა და ცენტრის გადაწყვეტილება იყო. ფაქტია ისიც, რომ რეგიონებში გუბერნატორი ცენტრის პოლიტიკას ატარებდა. იყო საუბარი, რომ გუბერნატორს უფლებები უნდა შეეზღუდოს ან რეგიონულ დონეზე მას გადაეცეს უფლებები. ერთი და იგივე ადამიანები აცხადებდნენ, რომ გუბერნატორი უნდა იყოს არჩევითი ან საერთოდ არ იყოს. ამგვარი მიდგომის ერთროულად რეალიზება როგორაა შესაძლებელი, პირადად ჩემთვის წარმოუდგენელია.

მე-7 კარში არ არის საუბარი თვითმმართველობის ძირითად პრინციპებზე. მე-7 კარში საერთოდ არ არის საუბარი რეგიონალური მმართველობითი ორგანოს შექმნაზე ძალიან მარტივი მიზეზის გამო. თუ სადღაც ქვეყნის ვერაგი ძალები სხედან და დამღუპველ კანონს წერენ, ამ შემთხვევაშიც კი ორგანული კანონი ამ პასუხისმგებლობას თავის თავზე ვერ აიღებს, ვინაიდან ეს კონსტიტუციური საკითხია.

კონსტიტუციის მუხლების დაზუსტება და გადასინჯვა იმ კომისიის საქმეა, რომელმაც კონსტიტუციაზე ერთი წლის განმავლობაში უნდა იმსჯელოს და გუბერნატორის ინსტიტუტთან დაკავშირებით შესაბამისი ვარიანტები განიხილოს. სურვილის შემთხვევაშიც კი, ორგანული კანონი ვერანაირად ვერ განსაზღვრავდა ამ საკითხებს.

ახლა არის ვითარება, როცა გუბერნატორს ვერც გაუზრდი უფლებამოსილებას და ვერც შეუმცირებ. გუბერნატორი, რეალურად, კონსტიტუციურად დამტკიცებული ინსტიტუციაა. თუ კონსტიტუცია გადაწყვეტს, რომ გუბერნატორი საერთოდ არ უნდა იყოს, ეს სხვა თემაა. კონსტიტუციის შეცვლა გასაგები მიზეზების გამო გაძნელდა.

მოცემულ ვითარებაში კონსტიტუციით არსებობს გუბერნატორი, რომელსაც მთავრობა ნიშნავს. ახლა საკითხი ასე დგას — რა უფლებები ექნება მთავრობის მიერ დანიშნულ გუბერნატორს? ხომ არ გამოიყენებს იგი უხეშად თავის უფლებამოსილებებს პოლიტიკური მიზნებისათვის?

ადრე გუბერნატორი ახორციელებდა ზედამხედველობას თვითმმართველ ორგანოებზე. გუბერნატორი კოორდინაციას უწევდა თვითმმართველ ორგანოებს. ქაღალდზე კი წერია, რომ ისინი საკითხებს ერთმანეთში ათანხმებენ, მაგრამ გუბერნატორისა და თვითმმართველი ორგანოების ურთიერთობა რომ სხვა ფორმატში გადაიზრდებოდა, ამის შესახებ ვიცით და ქვეყანამ ეს უკვე გამოსცადა.

ახალი კოდექსით გუბერნატორი ვერ უქმდება, ვინაიდან კონსტიტუციით არსებობს. პროგრამებზე, რომლებიც რეგიონებში უნდა განხორციელდეს, გუბერნატორმა სულ მცირე, კონსულტაცია მაინც უნდა გაიაროს თვითმმართველ ორგანოებთან. სწორედ ამისათვის იქმნება ახალი კოდექსით გუბერნატორთან საკონსულტაციო ორგანო.

მე-7 კარი მაშინ იქნებოდა საფრთხე, თუ კოდექსში იქნებოდა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ რეგიონი არის ფედერალური სუბიექტი, აქვს დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც ისევე როგორც პარლამენტს, აქვს კანონშემოქმედებითი საქმიანობის უფლება, რომ საქმე გვაქვს ფედერალიზმთან და ამავე დროს ადგილზე არ არსებობს სახელმწიფო კონტროლის არანაირი მექანიზმი.

## ვინც ნარმანიას მერობის კონდიდატად განიხილავს, თვითმმართველობის პროექტის ჩავარდნით ხომ არ არის დაინტერესებული?



ამგვარი რამ რომ კოდექსში იყოს ჩაწერილი, გასაგებია, ეს მართლაც იქნებოდა ბუნებრივად საფრთხე, მაგრამ ასეთი რამ კოდექსში ხომ არ წერია, რომც წარმოვიდგინოთ, რომ კანონპროექტის ავტორები არიან ქვეყნის მოღალატეები და ამგვარი რამის ჩაწერა უნდათ, ამას ისინი მაინც ვერ ჩაწერდნენ, ვინაიდან შესაბამისი ჩანაწერი კონსტიტუციაში უნდა არსებობდეს.

**— თქვენი ოპონენტები აცხადებენ, რომ „პატრიარქი ევროპულ არჩევანს კი არა, ქვეყნის დაშლის რუსულ დაკვეთას ეწინააღმდეგება“, „რეგიონალიზმი საქართველოსთვის უდიდესი ბოროტებაა“. რამდენად აქვს კავშირი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ პროექტს რეგიონალიზმთან და ქვეყნის დაშლის რუსულ გეგმასთან?**

— მოდით ვთქვათ, თუ რა იგულისხმება რეგიონალიზმში? როცა ვსაუბრობთ რეგიონალიზმზე, ნაწილისათვის ეს არის ქვეყნის პროვინციებისა და რეგიონების დონეზე გაერთიანება, ანუ გარკვეულწილად კონფიდენციალური სისტემა. მეორე ჯგუფისთვის ეს არის ფედერალური მოწყობა, როცა არსებობს ერთიანი სახელმწიფო, მაგრამ რეგიონებს, როგორც ეს აშშ-სა და გერმანიაშია, აქვთ საკანონმდებლო უფლებები. მესამე გახლავთ რეგიონალიზირებული სახელმწიფო, როგორიცაა მაგალითად პოლონეთი, ესპანეთი. რეგიონები კანონს ვერ მიიღებენ. ჩვენთან ერთადერთი ფედერალური სუბიექტი არის აჭარის ავტონომია, რომელსაც ჰყავს თავისი მთავრობა და საკანონმდებლო ორგანო — უმაღლესი საბჭო. ჩვენთან არც ერთ მხარეში არასოდეს არ იყო და არც იგეგმება რეგიონის დონეზე საკანონმდებლო ორგანოს შექმნა.

**— ეს გასაგებია, მაგრამ თქვენი აზრით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს ბრალდებები, თითქოს კოდექსის ავტორებს ქვეყნის დაშლა სურთ?**

— ნამდვილად არ ვიცი, საიდან მოდის ამგვარი ბრალდება. ერთადერთი, რაც შემიძლია განვაცხადო — ქვეყნის დაშლის საფრთხე მაშინ არსებობს, როცა მსხვილი ტერიტორიული ერთეულები ყალიბდება, როცა ამგვარ ერთეულებში ბატონობს კლანური ნომენკლატურა, რომლის ჩამოყალიბება გასული საუკუნის 30 წლებიდან მიმდინარეობდა და შემდგომ თავის პოზიციებს თაობებს გადასცემდა.

საქართველოში ხელისუფლებები კი იცვლებიან, მაგრამ რეგიონებში კლანური სისტემა უცვლელი რჩება. კლანისთვის მთავარია საკუთარი კეთილდღეობა და ვინც მათივე ინტერესების გათვალისწინებას დაპირდება, ყოველთვის მათ მხარეზე არიან. ფეოდალური მენტალობის დაჯგუფებებს არ უნდათ, გარედან რაიმეში ხელი შეუშალონ. ქვეყნის ნებისმიერი არაკეთილისმსურველი სწორედ მათ ეყრდნობა. ამის კარგი მაგალითი იყო ასლან აბაშიძის დროინდელი აჭარა. აქ ეთნიკური მომენტი გამორიცხული იყო, მაგრამ გვახსოვს ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არც ცნობდა, არც ემორჩილებოდა და პრაქტიკულად საზღვრის მსგავსი რამაც კი არსებობდა.

ადგილობრივი თვითმმართველობები იმ ზომით და ფორმით უნდა იყვნენ ჩართული პროცესში, რომ მათ შეეძლოთ კონკრეტული საქმის კეთება, ანუ ის, რაც მათ კოდექსის მიღების შემთხვევაში დაეკისრებათ.

**— შეიძლება გვქონდეს იმის იმედი, რომ დისკუსია, რომელიც ამ თემაზე საზოგადოებაში დაიწყო, საბოლოოდ კიდევ უფრო დახვეწს და გააკეთილშობილებს კანონპროექტს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“?**

— მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ აქ არ არის საუბარი კანონპროექტზე. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — რაც ამ კოდექსთან დაკავშირებით ხდება, სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური ბრძოლა. თუ კარგად დააკვირდებით, პროექტზე აღარავინ დავობს, ოპონენტები ამ პროექტის ჩაგდებაზე არიან ორიენტირებული. ეს კი, პირდაპირ ურტყამს რეგიონული მართვის სამინისტროს მესვეურს, რომელიც მმართველმა პარტიამ თბილისის მერობის კანდიდატად დაასახელა. ვინც ნარმანიას თბილისის მერობისთვის ბრძოლაში კონკურენტად განიხილავს, დაინტერესებულია, რომ მის უწყებაში შემუშავებული თვითმმართველობის პროექტი ჩავარდეს.

არის მეორე ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია მართვის ვერტიკალის შენარჩუნებით. შესაბამისად, ისინიც მოწინააღმდეგეთა ბანაკში არიან. არის მესამე ჯგუფი ადამიანების, რომლებსაც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ და ასევე პროექტის მოწინააღმდეგეთა შორის არიან.

ყველა ძალა გააქტიურებულია და ცდილობს, ხელისუფლებას თავისი კლანჭები აჩვენოს, არ დაუშვან ამ კანონპროექტის მიღება. პროექტის ოპონენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას კანონპროექტი საერთოდ არ აინტერესებს. ამ სტრატეგიის არსებობის შესახებ 2013 წლის მარტიდან ყველამ იცოდა, პარლამენტში მაისში შევიდა, შემდეგ ისევ გამოითხოვეს. მასზე სამუშაო ჯგუფები ღია რეჟიმში მუშაობდნენ. ახლა პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ კოდექსის წინააღმდეგ ღიად გალაშქრება მას შემდეგ დაიწყო, რაც „ქართულმა ოცნებამ“ თბილისის მერობის კანდიდატად ნარმანია დაასახელა.

სამწუხაროა, რომ კოდექსის გარშემო დეზინფორმაციის გავრცელებაში ჩათრეული აღმოჩნდა ისეთი პატივსაცემი ინსტიტუცია, როგორიცაა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. იმ დეზინფორმაციული ტალღის პირობებში, რასთანაც ახლა გვაქვს საქმე, კიდევ არა ერთი ინსტიტუცია, თუ მოქალაქე გამოთქვამს თავის შეშფოთებას.

იმედი მაქვს, რომ ევროპის საბჭო, რომელსაც კოდექსი პარლამენტმა დიდი ხნის წინ გაუგზავნა, მთავრობას კოდექსთან დაკავშირებულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს 15 დეკემბრის შემდეგ გამოუგზავნის. ასევე ველოდებით რეკომენდაციებს ვენეციის კომისიისაგან. მათ გაითვალისწინეს საქართველოს ხელისუფლების თხოვნა და დაჩქარებული წესით განიხილეს ჩვენს პარლამენტში შემუშავებული კოდექსი. ცილისწამებაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ, მაგარამ ადგილობრივი თვიმმართველობის სისტემაში რეფორმა რომაა ჩასატარებელი, ფაქტია.

**კობა ბენდელიანი**

## ◉ ალიან-ჩალიანი

## გიორგი სიგუას უცხოელი მრჩეველი ჰყავს

**ევროპის სამოგზაურო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე და შვეიცარიის ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ვალტერ ლოი შვეიცარიაში სამუშაო ვიზიტით მყოფ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელ გიორგი სიგუას შეხვდა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ტურიზმის ადმინისტრაციიდან აცნობეს, ვალტერ ლოიმ მზადყოფნა გამოთქვა საქართველოს, თავისი გამოცდილებითა და ავტორიტეტით უსასყიდლოდ დაეხმაროს.**

**მათივე ცნობით, ვალტერ ლოი საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი იქნება და 2014 წლის მაისში თბილისში 20-კაციან დელეგაციასთან ერთად ჩამოვა. დელეგაციაში შვეიცარიის პარლამენტის ყოფილი და ამჟამინდელი წევრები, ეკონომიკის სამინისტროსა და ტურიზმის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები იქნებიან.**

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზიტი შვეიცარიაში საქართველოს საელჩოს ეგიდით დაიგეგმა.**

**ინტერპრესი**



# შემოვლითი რკინიგზის შემოვლითი პრობლემები

**გიგი უგულავა კმაყოფილია. იგი მიიჩნევს, რომ რკინიგზის პროექტზე „ჩიჩინი ჭრის“. ამიტომაც თბილისის შემოვლითი რკინიგზის სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება.**

**— კარგია, რომ მთავრობამ საბოლოოდ გადაწყვიტა ამ პროექტის დასრულება. ამით ჩვენ დავინახეთ, რომ ჩიჩინი ჭრის. აუცილებელია, როდესაც მთავრობა საზოგადოების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას იღებს, თითოეულმა მოქალაქემ ამოიღოს ხმა. მე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ბოლომდე მივიყვანოთ ეს გადაწყვეტილება და მონიტორინგი გავუწიოთ მას,** — განაცხადა გიგი უგულავამ.

მართლაც, საინტერესოა, პრემიერ-მინისტრთან არსებულმა ეკონომიკურმა საბჭომ რატომ მიიღო სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილება და თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის კონტრაქტორს ხელშეკრულება რატომ გაუგრძელა?! ეს მაშინ, როცა კარგა ხნით ადრე ცნობილი იყო, რომ მთავრობა თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის დაკონსერვებას აპირებდა. იმასაც ამბობდნენ, რომ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ნაცვლად, შესაძლოა, შემოვლითი საავტომობილო გზის პროექტი განხორციელებულიყო, რაც დედაქალაქის ცენტრში საავტომობილო მოძრაობას განტვირთავდა.

უფრო მეტიც — ჯერ კიდევ აგვისტოს თვეში ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აცხადებდა, რომ ეს პროექტი დაკონსერვდებოდა, სანამ არ იქნებოდა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული, თუ როგორ უნდა გაგრძელებულიყო დედაქალაქის ცენტრიდან სარკინიგზო ხაზის გადატანის გეგმა. პრობლემებს ქმნიდა ტექნიკური საკითხები, მათ შორის, გზის დახრილობა და სხვა, რომლის შესწავლაც, სამწუხაროდ, წინასწარ არ მომხდარა.

პროექტი, რომლის განხორციელებაც 2010 წელს დაიწყო, ითვალისწინებდა სარკინიგზო ხაზის გადატანას თბილისის ცენტრიდან ქალაქის ჩრდილოეთით, 10 კილომეტრის მოშორებით. რკინიგზის გადატანის შედეგად ქალაქის ცენტრში 70 ჰექტარზე მეტი მიწა გამოთავისუფლდებოდა ურბანული განვითარების პროექტებისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2010 წლის მარტში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა („იბიარდმა“) თანხმობა განაცხადა, „საქართველოს რკინიგზისთვის“ 100 მილიონი ევროს ოდენობის სესხის გამოყოფის თაობაზე შემოვლითი სარკინიგზო ხაზის პროექტის დასაფინანსებლად. თუმცა, 2011 წლის ნოემბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „საქართველოს რკინიგზა“ შემოვლითი ხაზის მშენებლობას „იბიარდის“ სესხის გარეშეც განახორციელებდა.

ჩვენ დავინტერესდით, რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში და რატომ გაუგრძელეს თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის კონტრაქტორს ხელშეკრულება?! ამ მიზნით რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დავუკავშირდით, თუმცა, გვითხრეს, რომ სამინისტროში ამ თემაზე კომენტარს არავინ გააკეთებდა, რადგან ეს მათი პროექტი არ იყო. ისე კი, შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის საკითხს ჟურნალისტებთან საუბარში შეეხო მინისტრი დავით ნარმანია და აღნიშნა, რომ პროექტი გაგრძელდება, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ის ვადებში ვერ ეტეოდა წინა ხელისუფლების პირობებში არსებული მშენებლობის ტემპიდან გამომდინარე, პროექტის ვადა გადაწეული იქნებოდა. როგორც აღმოჩნდა, არც ეკონომიკის სამინისტროში სურდათ ამ თემაზე საუბარი. ამიტომ, ჩვენ ვესაუბრეთ „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს — **კოკა გუნცაძეს.**

სხვათა შორის, თავის დროზე შემოვლითი სარკინიგზო ხაზების შედარებით გაანგარიშებაზე დაყრდნობით, კოკა გუნცაძე აცხადებდა, რომ შემოვლითი რკინიგზა კომპანიის ყოველწლიური მოვლა-შენახვისა და საოპერაციო ხარჯებს გაზრდიდა. ამასთან, გაართულებდა ტექნიკურად მოძრაობის ორგანიზებას. გარდა ამისა, კიდევ უფრო შემცირდებოდა „საქართველოს რკინიგზის“ გამტარუნარიანობა.

კოკა გუნცაძე განმარტავს, რომ მათ მიიღეს ტაიმ-აუტის გადაწყვეტილება, ანუ სამი წლის განმავლობაში დროებით შეჩერდება მშენებლობა და ეს სამი წელი გამოყენებულ იქნება იმისთვის, რომ ჩვენ ვეძებოთ ამ პროექტის ოპტიმალური კორექციის შესაძლებლობა.

**— რამდენადაც სრულიად არარენტაბელურ, უსარგებლო პროექტში 214 მილიონი უკვე დახარჯულია, ჩვენ უნდა ვიპოვოთ ისეთი ტექნიკურ-ეკონომიკური, საინჟინრო და კომერციული გადაწყვეტა, რომ ეს პროექტი გავაკეთილშობილოთ, შევასწოროთ და საინტერესო და მომგებიანი გავხადოთ რკინიგზისთვის. თუ ეს მოხერხდა, მაშინ უკვე ახალი პროექტით, 18 თვეში დასრულდება მშენებლობის პროცესი. ხოლო, თუ ეს ვერ მოხერხდება, ცხადია, დამატებით 140 მილიონის წყალში გადაყრას არ ვაპირებთ,** — გვითხრა კოკა გუნცაძემ.

**ჩვენს შეკითხვაზე, უარეს შემთხვევაში, ხელახლა დაკონსერვდება თუ არა ეს პროექტი, მან განმარტა: შევიკრიბებით და, ბუნებრივია, შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს ქვეყნის მთავრობა. დღეს კი არსებობს ნება, რომ მოიძებნოს შესაბამისი საინჟინრო გადაწყვეტილება, რათა მოხდეს ამ პროექტის გასწორება. მეტიც, რკინიგზა წამგებიანი არ უნდა იყოს და ჩვენ უნდა მივიღოთ უკეთესი და არა უარესი რკინიგზა.**

შეიცვლება თუ არა შემოვლითი რკინიგზის ტექნიკური მასშტაბები, ამ შეკითხვის საპასუხოდ კოკა გუნცაძე აცხადებს, რომ, ცხადია, ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები, რომელსაც აუარესებს ეს შემოვლითი სარკინიგზო ხაზი, უნდა გაუმჯობესდეს. ამისთვის კი საჭიროა სერიოზული კვლევა და სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება სოლიდური და ავტორიტეტული საინჟინრო კომპანიების მხრიდან, რომლებიც ამ მსხვილ პროექტზე იმუშავებენ.

**— ის, რომ ქალაქის ცენტრში 70 ჰექტარზე მეტი მიწა ურბანული განვითარებისთვის გამოთავისუფლდება, ამასაც ურბანული დასაბუთება სჭირდება. უნდა გავარკვიოთ, რამდენად არის ეს იმ დანახარჯის ალტერნატიული ღირებულება, რასაც „რკინიგზა“ ჩადებს ამ პროექტში. ამას მე ვერ გეტყვით, ეს ჩემს კომპეტენციას აღემატება. ეს ურბანისტების და სპეციალისტების შესაფასებელია,** — აღნიშნა კოკა გუნცაძემ.

არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი მიიჩნევს, რომ თბილისის შემოვლითი რკინიგზა, დღეს თუ არა, ხვალ მაინც უნდა გაკეთდეს, ამას ალერნატივა არ აქვს, მაგრამ აქ პრობლემა ის კი არ არის, უნდა იყოს თუ არა რკინიგზა, არამედ მთავარია, როგორი უნდა იყოს შემოვლითი რკინიგზა. კერძოდ, საინტერესოა, სად უნდა გაიაროს შემოვლითმა რკინიგზამ, რათა არ დააზარალოს მომავლის თბილისი და როგორი გამტარუნარიანობა უნდა ჰქონდეს მას, რომ ღირდეს ამ პროექტზე ფულის დახარჯვა.

**— არცერთი ეს საკითხი შესწავლილი არ არის და, როგორც თავის დროზე პირდაპირ მიიღეს მშენებლობის გადაწყვეტილება, ისევ პირდაპირ არის მისი გაგრძელების გადაწყვეტილება მიღებული. კი ბატონო, გაგრძელდეს ამ რკინიგზის მშენებლობა, მაგრამ სად და როგორ გაგრძელდეს, რანაირად გაგრძელდეს, ეს ყოველმხრივ პროფესიონალურ დონეზეა შესასწავლი. ამ საქმეში უნდა ჩაერთვნენ არა მარტო გზის სპეციალისტები და რკინიგზელები, არამედ ქალაქდაგეგმარების სპეციალისტები, ეკოლოგები. ამის შემდეგ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება,** — აღნიშნა გიგა ბათიაშვილმა.

მისი თქმით, აქ გასათვალისწინებელია თბილისის ზღვის აკვატორიის პრობლემებიც, რომელიც დასვენების, ტურიზმის საუკეთესო ზონაა. ამდენად, რკინიგზის გაყვანის გამო მოსალოდნელი საფრთხეები უნდა ასცდეს ამ ზონას.

რაც შეეხება რკინიგზის გადატანის შემთხვევაში ქალაქის ცენტრიდან 70 ჰექტარი მიწის გამოთავისუფლებას, გიგა ბათიაშვილი მიიჩნევს, რომ ეს საკითხიც შესასწავლია. კერძოდ, რკინიგზის გადატანა ნიშნავს თუ არა თბილისში რკინიგზის აყრის აუცილებლობას, თუ თბილისის ცენტრიდან უნდა გავიდეს მხოლოდ სატვირთო გადაზიდვები, ხოლო თბილისის გავლით დასაშვები უნდა იყოს სამგზავრო მატარებლების მოძრაობა, რომლებიც ერთდროულად მეტროპოლიტენის ფუნქციასაც შეასრულებენ.

**ცნობისათვის: თბილისის შემოვლითი რკინიგზის მთავარი მიზანია, სახიფათო ტვირთის (ნავთობისა და ნავთობპროდუქტების) სატრანზიტო გადაზიდვები მჭიდროდ დასახლებული დედაქალაქის ცენტრიდან ქალაქის ფარგლებს გარეთ გავიდეს. პროექტით გათვალისწინებულია თბილისის ცენტრალური ნაწილის შემოვლითი, ახალი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობა და „დიდუბისა“ და „ნავთლუღის“ არსებული სარკინიგზო სადგურების მოდერნიზება.**

**მარიამ ლოლაშვილი**

ოჯახური ძალადობა

# ჭირის მალვა საგანგაშო მდგომარეობამდე მიგიყვანს

**ქმრის მიერ ცოლის ცემას უფრო მეტად ოჯახის საქმედ მიიჩნევს სამეგრელოს მოსახლეობა. ამის შესახებ გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაკვეთით საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევაშია ნათქვამი.**

**გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლის ირინა ჯაფარიძის განცხადებით, მათ გამოიკვლიეს საზოგადოებრივი ცნობიერება და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ დამოკიდებულება თბილისში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და კახეთში. კვლევის თანახმად, ძალიან დაბალია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელიც ოჯახში ძალადობის შემთხვევაში პოლიციას მიმართავდა. თუმცა, ირინა ჯაფარიძის ინფორმაციით, გასული წლის კვლევისგან განსხვავებით, მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია. კერძოდ, 2009 წელს გამოკითხულთა 74 პროცენტს მიაჩნდა, რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის საქმეა.**

**კვლევის ავტორის, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის წარმომადგენლის ნანა სუმბაძის ინფორმაციით, ძალადობის შესახებ ბევრად უფრო თავისუფლად საუბრობენ თბილისსა და კახეთში, ხოლო ძალიან თავშეკავებულად - სამეგრელოსა და ზემო სვანეთში. კახეთში კი გამოიხატა შეწუხება იმ ფაქტით, რომ აღნიშნულ რეგიონში ოჯახური ძალადობა ძალზე გავრცელებულია.**

**რაც შეეხება ასაკობრივ ფაქტორს, 31 წლამდე ადამიანები ბევრად უფრო ღიად საუბრობენ, ვიდრე უფროსები, 60 წელს გადაცილებული ადამიანები კი მიიჩნევენ, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ადამიანმა პოლიციას არ უნდა მიმართოს.**

**ამასთან, მკვეთრად გამოიკვეთა განათლების როლი. კერძოდ, უმაღლესი განათლების ადამიანები ბევრად უფრო ადვილად აღიარებენ ოჯახური ძალადობის ფაქტებს და მიაჩნიათ, რომ ეს არის კრიმინალური აქტი და მისი მოთმენა არც ერთ შემთხვევაში მიღებული არ არის.**

**კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 34,6 პროცენტი მიიჩნევს, რომ ცოლის ცემა გამართლებულია, თუკი ის შვილებს ყურადღებას არ აქცევს, საჭმელს წვავს, უარს ამბობს ინტიმურ კავშირზე, ან ნებართვის გარეშე გადის სახლიდან.**



**რაც შეეხება ოჯახური ძალადობის გავრცელებას რეგიონების მიხედვით, ამ კუთხით ლიდერობს კახეთი — 81,60 პროცენტით, თბილისი — 81.10 პროცენტით და სამეგრელო-ზემო სვანეთი - 70.60 პროცენტით.**

**რესპონდენტთა 58 პროცენტი მიიჩნევს, რომ ძალადობა ოჯახში მიუღებელია და ყოველთვის უნდა დაისაჯოს კანონით.**

**ქმრის მიერ ცოლის ცემას დანაშაულად აფასებს გამოკითხულთა 69 პროცენტი, 25 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქმრის მიერ ცოლის ცემა ოჯახის საქმეა, ხოლო 6 პროცენტის პასუხია — არ ვიცი.**

**ცოლის ცემას გამართლებულად მიიჩნევს სამეგრელო-ზემო სვანეთში გამოკითხული მოსახლეობის 23.40 პროცენტი, იმ შემთხვევაში, თუ ცოლი ყურადღებას არ აქცევს ბავშვს. ამავე მიზეზით ცოლის ცემას გამართლებულად მიიჩნევს კახეთში გამოკითხულთა 11,70 პროცენტი და თბილისელი რესპონდენტების 6.20 პროცენტი.**

**რაც შეეხება მამაკაცების მიერ ქალების მოტაცებას, კვლევაში აღნიშნული საკითხიც მოხვდა. რესპონდენტთა 79 პროცენტი მიიჩნევს, რომ მოტაცების შემთხვევაში ქალი არ უნდა გაყვეს მამაკაცს, 17 პროცენტი მიიჩნევს, რომ უნდა გაყვეს სექსუალური ურთიერთობის შემთხვევაში, ხოლო 4 პროცენტი მიიჩნევს, რომ მოტაცების შემდეგ ცოლად უნდა გაჰყვეს მამაკაცს.**

**რესპონდენტთა 91.40 პროცენტს მიაჩნია, რომ ქალმა ძალადობის შემთხვევაში ოჯახის წევრებს უნდა მიმართოს. 80,00 პროცენტი მიიჩნევს, რომ ნათესავებს უნდა მიმართოს, 79.20 პროცენტის აზრით, უნდა გაეყაროს ქმარს, 78.90 პროცენტი მიიჩნევს, რომ უნდა მიმართოს მეგობარს, ხოლო 73.70 პროცენტი მიიჩნევს, რომ მან ეკლესიას უნდა მიმართოს. გამოკითხულთა 65.9 პროცენტს მიაჩნია, რომ ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლმა პოლიციას უნდა მიმართოს.**

**პოლიციისადმი არმიმართვის ძირითადი მიზეზები არის სირცხვილი, საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის შიში და დაუცველობის გრძნობა. ასევე, ქმრისგან კიდევ უფრო დიდი ძალადობის მოლოდინი.**

**კვლევის ავტორები ამბობენ, რომ გასულ კვლევასთან შედარებით სიტუაცია აშკარად შეცვლილია და მოსახლეობა არსებული სერვისების შესახებ ბევრად უფრო ინფორმირებულია.**

**ინტერპრესი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# საქართველოს საბჭოთა ტანკებისა და შვეულმფრენების გაყიდვა სურს

## საქართველო ამერიკასთან და ისრაელთან აწარმოებს მოლაპარაკებას თავისი თავდაცვის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ



**საქართველო განიხილავს შესაძლებლობას გაითავისუფლოს თავი საბჭოთა და რუსული შეიარაღების ნიმუშებისგან. საკითხი, უწინარეს ყოვლისა, შეეხება ტანკებს — ტ-55 და ტ-72, აგრეთვე შვეულმფრენებს მი-8. თავდაცვის სამინისტროში საუბრობენ, რომ ასეთი მანქანა „რამდენიმე ათეულია“. ამჟამინდელ პირობებში მათი რემონტი რუსეთში ან იქიდან სათადარიგო ნაწილების მიღების შესაძლებლობა არ არსებობს. თანადგომას ამ საქმეში საქართველოს ადრე უკრაინა უწევდა, მაგრამ ამჟამად ასეთ სამსახურზე კიევი მოითხოვს უფრო არსებით საფასურს.**

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ ასეთი საკითხი განიხილება.

**— ჩვენ ვფიქრობთ, თუ რა უნდა ვუქნათ ამ შეიარაღებას, —** თქვა დეპუტატმა. — საკითხი რთულია, მოითხოვს დეტალურ დამუშავებას.

ანალიტიკური ჟურნალის „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა ჩვენთან საუბარში გვაცნობა, რომ თავდაცვის უწყებაში განიხილება იმ ტექნიკის რეალიზაციის ვარიანტი, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედებაშია.

**— იგი შეიძლებოდა გაეყიდათ, მაგალითად, აფრიკის რომელიმე ქვეყანაში, —** მიაჩნია ექსპერტს.

ამოგებული სახსრები, მათ შორის ისინიც, რომელთა ეკონომიაც შეიძლებოდა სარემონტოდ და მომსახურებისთვისაც, მისი სიტყვით, უნდა დაიხარჯოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის და ტანკსაწინააღმდეგო იარაღის თანამედროვე სისტემის შეძენაზე. ომმა რუსეთთან 2008 წელს გვიჩვენა, რომ ეს არის სწორედ ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს.

ამავე დროს, მისი სიტყვებით, შეიარაღების ბაზარზე ამჟამად წინადადება უსწრებს მოთხოვნას, ვინაიდან „უნდა ეძებო არა მხოლოდ მყიდველი, არამედ განსაზღვრო ჯანსაღი ფასიც“.

**საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი 2014 წლისთვის 400 მილიონ დოლარს შეადგენს, ეს დაახლოებით ორჯერ უფრო მცირეა, ვიდრე სააკაშვილის დროს, ხუთი წლის წინანდელ შეიარაღებულ მოქმედებებამდე. საქართველო უკვე არავისთან არ აპირებს ბრძოლას და ზრუნავს მხოლოდ იმისთვის, რომ მისი თავდაცვისუნარიანობა იყოს საკმარისი. ამიტომ პრიორიტეტები შეიძინეს, როგორც ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებმა, ისე საზენიტო კომპლექსებმა.**

რუსეთთან ომამდე კი ძირითადად ყიდულობდნენ შემტევი ხასიათის სამხედრო ტექნიკას, განსაკუთრებით უკრაინელებისგან.

**ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა განაცხადა, რომ, სააკაშვილი თუ არ შეიძენდა თვითმავალ საარტილერიო დანადგარებს, მძიმე ჯავშანტექნიკას, შემტევ თვითმფრინავებს, მაშინ ცდომილება — ჩართულიყო სამხედრო მოქმედებებში სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით — მას შეიძლებოდა არც გასჩენოდა.**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ამბობენ, რომ ახლა, როდესაც დამთავრდა სააკაშვილის ეპოქა, საზღვარგარეთ უფრო იოლი იქნება განიხილო აუცილებელი სამხედრო შესყიდვების საკითხები.

**2008 წლის აგვისტოს შემდეგ თბილისის ბევრმა ძველმა პარტნიორმა უარი განაცხადა მიეყიდოს საქართველოს მხარეს შეიარაღება, ტექნიკა და ამუნიცია. მაგალითად, ისრაელმა, რომელიც 2000 წლების შუა პერიოდში აწვდიდა საქართველოს 40-მდე უპილოტო თვითმფრინავს, შეწყვიტა ამის გაკეთება რუსეთის რეკომენდაციით. „ვიკილიქსის“ სკანდალურმა საიტმა მოგვიანებით განაცხადა, რომ ისრაელელები რუსეთელებს გადასცემდნენ საქართველოსთვის გათვალისწინებული უპილოტო თვითმფრინავების კოდებსაც, თითქოსდა, მოსკოვის უარის სანაცვლოდ — მიეყიდოს ებრაული სახელმწიფოს მოწინააღმდეგეს იარაღი.**

ამ დროს გასული კვირის ბოლოს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ისრაელში გამართა მოლაპარაკება თავის კოლეგა მოშე იაალონთან, რის შემდეგაც შეიძლებოდა გაგვეკეთებინა დასკვნა თანამშრომლობის განახლების შესახებ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადეს, რომ ერთი თვის განმავლობაში ორი ქვეყნის სამხედროები დაამუშავებენ კონკრეტულ გეგმას, რომლის მიზანიც იქნება „საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ეფექტიანობის ამაღლება და თანამშრომლობის განვითარება სამხედრო ინდუსტრიის სფეროში“.

**ამ კვირას კი ამერიკელებისა და ქართველების სამუშაო ჯგუფები, რომლებიც შეიქმნენ რამდენიმე წლის წინათ ხელმოწერილი ქარტიის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ, განიხილავენ ვაშინგტონში სამხედრო საკითხებს. საქართველოს დელეგაციას სათავეში უდგას საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკანიანი.**

**თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილი რექტორი გიორგი თავდგირიძე მიიჩნევს რომ, საქართველომ ამერიკელების წინაშე უნდა დააყენოს საკითხი გადასატანი სარაკეტო-საზენიტო კომპლექსების მიყიდვის შესახებ. ექსპერტმა შენიშნა, რომ საქართველოსთვის საკმარისია „რამდენიმე ასეული ასეთი კომპლექსი“ და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლო ისინი გადაეცა საქართველოსთვის იაფად.**

თუმცა, ყველა ანალიტიკოსი როდი მიიჩნევს უცხოეთში საბჭოთა და რუსული წარმოების სამხედრო ტექნიკის გაყიდვის იდეას რაციონალურად. საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა, ნატოს ეგიდით ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის მოქმედმა ექსპერტმა ვახტანგ მაისაიამ ჩვენს გაზეთს უთხრა, რომ **„სხვა ქვეყნების მიერ მესამე ქვეყნების დიდი ხნის წინათ ათვისებულ ბაზარზე საქართველოს ძველი სამხედრო ტექნიკის გაყიდვის წინადადება იქნება უკიდურესად რთული“.**

ექსპერტს მიაჩნია, რომ ყველაფერი ყურადღებით უნდა იქნეს დაანგარიშებული, მოხდეს ადგილზე უტილიზაცია ანდა გარემონტდეს ეს ტექნიკა შესაბამისი მიმართულების ქართული საწარმოო სიმძლავრის გამოყენებით.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# დედამიწის ზურგზე



### ღამით კიევის ცენტრში გაწმენდა „გამკაცრდა“

**მომიტინგეებზე ზეწოლა დაიწყო დაახლოებით ღამის პირველ საათზე. „მილიცია ახორციელებს მკაცრ წმენდას, სცემს ხალხს, ყოველივე ამას იღებს კამერები, — აცნობა ჟურნალისტებს დეპუტატმა მაიდანზე. — სპეცნაზმმა ორად გაჰყო ბანაკი და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ“.**

### კანადამ განაცხადი შეიტანა ატლანტიკაში კონტინენტალური შელფის გაფართოებაზე



**კანადას ატლანტის ოკეანეში პრეტენზიები აქვს 1,2 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე. ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც კანადა თავისი საკონტინენტო შელფის გაგრძელებად მიიჩნევს, კვეთს გრენლანდიის ეკონომიკურ ზონას. განაცხადი არქტიკაზე დასამუშავებლად გადაიგზავნა.**

### რუსეთისა და ბელარუსის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ერთად დაიწყეს სამოკავშირეო სახელმწიფოს ცის დაცვა

**რუსეთის მხრიდან საბრძოლო მორიგეობაში ამოქმედებულია ავიარგოლი 4 გამანადგურებლისგან, რომლებიც დისლოცირებული არიან ბარანოვიჩის აეროდრომზე. ამით რუსეთი პრაქტიკულად შეუდგა საბრძოლო ავიაპოლკის ჩამოყალიბებას მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რის შესახებაც დიდი ხანია, საუბრობენ თავდაცვის სამინისტროში.**

### არგენტინაში, სადაც პოლიცია გაფიცულია, იზრდება არეულობის მსხვერპლთა რიცხვი

**დანაშაულებისა და მაროდიორობის ტალღამ 23 პროვინციიდან 19 მოიცვა. ინტერნეტი აივსო ვიდეოჩანაწერებით, რომლებზეც მოსჩანს, თუ ხალხი, როდესაც იგრძნო დაუსჯელობა, როგორ ამსხვრევს მინებს მაღაზიების ფანჯრებში, გამოაქვთ საქონლით დატვირთული საზიდავები. არგენტინის პრემიერმა ხულიგნები სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულა.**



◉ კულტურის სამინისტროს გასაგონად!



# გალაკტიონის ვარდი და ნიბლია ჩიტი

ვარციხის ხიდთან ღუზა ჩავუშვით და კოლხური ხომალდი „ოქროს საწმისი“, სახელდახელოდ შერჩეულ „პორტში“ დავავანეთ.

მთელი საქართველო მობრძანდა ექსპედიციის მონაწილეებთან შესახვედრად. ცნობილმა ერისშვილმა, ისტორიკოსმა ლევან სანიკიძემ რქაძლიერი, ოქროსბეწვიან ლეგენდარულ ვერძს მინამგვანი, ნამდვილი ვერძი მოგვართვა და კოლხური ომახით დაგვილოცა გზასავალი რიონზე გამავალი. გაიმართა ცხენთა ჯირითი და სიმბოლური, ჰეროიკული სცენები. სამტრედიელები მაყრიონობდნენ მედეას! ვანელებმა ლოცვა აღავლინეს წინაპართა გმირულ შარაზე მიმავალთა სასიკეთოდ. მთელი საქართველო მღეროდა „ოდოიას“! ორი დღე იყო ზეიმი და ალმაფრენა. რიონზე ბორნების ყველა ბაგირი ჩაეხსნათ კოლხებს, რომ ხელი არ შეშლოდა ხომალდს სვლაში. მესამე დღეს, ალიონზე, ექსპედიციას გზა უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ...

ვიღაც უგულოს, რიონჰესის „რაბები“ გაეხსნა და აზვავებულ ტალღებს ჩვენი გემი ნაპირიდან მოეწყვიტა! რას ვიზამდით?... ექვსი „მეზღვაური“ გამოვეყავით ძირითად ჯგუფს: —გივი ჭედია, ირაკლი სურგულაძე, ნუკრი ალხაზაშვილი, გუძა აფაქიძე, რაულ ბაბუნაშვილი და მე. სამარქაფო მოტორიანი ნავით ნახევარ საათში „დავეწიეთ“ მდინარის კუნძულზე გარიყულ ხომალდს. სულ ოთხიოდე ნიჩაბი იყო დარჩენილი გემბანზე, დანარჩენი ათი, ადრევე იყო გადატანილი ნაპირზე. ამ ოთხი ნიჩბით შევაცურეთ გემი ტალღებში, მაგრამ... კიდევ ერთი ხიფათი გველოდა, თურმე!... სოფელ ტყაჩირთან დარჩენოდათ მებორნეებს ბორნის ბაგირი ჩაუხსნელი და ადიდებულმა მდინარემ მიგვახეთქა ამ წინაღობას. გემი დაზიანდა, ოდნავ გადაიხარა და ცასა და წყალს შორის აღმოვჩნდით „არგოელები“. გემი კი, კიჩოთი ეკიდა ბაგირზე. იდგა 1970 წლის 6 ნოემბრის ღამის ბინდი. სრულ კატასტროფას ჩვენმა „მხარულმა“ გადაგვარჩინა. ბობოქარ ტალღებს თავი დავაღწიეთ. წყალმა წაიღო ჩვენი ტანსაცმელი, ჩვენი ყოველი „ქონება“, და... თითქმის, ტიტვლები, თქეშ წვიმაში იმ ნათურისკენ წავდგაფუნდით, რომელიც სოფლის ბოლოს ციაგებდა და, სადაც სითბო გველოდებოდა. და იქ, მართლა დაგვხვდა ნამდვილი სითბო, — უფლისგან ქართველთათვის დანათლული სითბო!



იმ ღამეს მთელმა სოფელმა გაიგო „ოქროს საწმისელთა“ გასაჭირი! გაიღო ტყაჩირის სავაჭრო ცენტრის დარაბები და ჩაგვაცვ-დაგვახურეს ტყაჩირელებმა. მეურნეობის კანტორის დიდ დარბაზში სუფრა გაიშალა. ზოგ ტყაჩირელს სადილს მორჩენილი შემწვარი ქათმის და გოჭის ხორცი მოჰქონდა სახელდახელოდ, ზოგს ღვინო და არაყი! დილამდე ისმოდა ქართული ხმები. მეორე დღეს, ახალგაზრდა ტყაჩირელთა ქორწილში უპირველესი სტუმრები ვიყავით! მესამე დღეს მაინც დაიძრა „ნაგვემი“ ხომალდი და ახლა იმ სოფელთან ჩაუშვა ღუზა, სადაც დაიბადა გალაკტიონი, სადაც დაიბადა ტიციანი, სადაც დაიბადა მათი განუმეორებელი პოეზია!

...ჭყვიშში ორი კვირა იდგა ჩვენი ხომალდი, სანამ ფოთელმა კოლხებმა მყარად არ შეაკეთეს იგი! და ამ ორი კვირის მანძილზე „ხელის გულზე გვატარეს“ ჭყვიშელებმა, თავიანთი კერა და სითბო დაგვითმეს და უხაროდათ ერის სიხარული. მე ბედნიერება მერგო, — გალაკტიონის ნაწოლ ტახტზე მივლაციცებოდი ღამეულ სიზმრებს. ბოლო დღეს, ტიციანის ძმამ, ბატონმა სიმონმა თავის ეზოში გამიხმო და ვარდის ბუჩქთან მიმიყვანა, მოკრძალებით მოწყვიტა ვარდის კოკორი და გადმომცა.

— ეს ვარდი გლაკტიონისა და ტიციანის დარგულია... ამ ვარდს ძეგლი უნდა დაუდგას საქართველომ!...

დამატყვევა ამ იდეამ, მაგრამ მაშინ „სხვა დრო იყო„ და არც არავინ დამიჭირა მხარი.

დღეს კი, ჩემი ძვირფასი მეგობრის, შესანიშნავი პოეტისა და მეცნიერის ნომადი ბართაიას მიერ „ფეისბუქის“ გვერდზე გამოქვეყნებული დიდებული წინადადება მინდა მივიტანო ქართველ მკითხველთან: — „...თურმე, ერთხელ, გალაკტიონი, მსუბუქი მანქანით მიემგზავრებოდა თბილისიდან ქუთაისის მიმართულებით. რიკოთი-ქუთაისის გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე მანქანის საქარე მინას ჩიტი-ნიბლია შეასკდა. გალაკტიონს მანქანა გაუჩერებია, ის ჩიტი გზისპირს მიწისთვის მიუბარებია, საფლავის ნიშანი დაუდია, ფრთოსანისათვის წუთიერი დუმილით პატივი მიუგია და გზა გაუგრძელებია. უკან მობრუნებისას პოეტი იმ ადგილას კვლავ შეჩერებულა და ისევ დუმილით მიუგია პატივი იმ ფრინველისთვის!... იქნებ, იმ ადგილას, სადაც ეს მოხდა, გაკეთდეს იმ ჩიტი-ნიბლიას მემორიალი, სადაც ქართულ და უცხოურ ენებზე გადმოცემული იქნება ეს „ისტორია“, ვითარცა სიმბოლო ქართველი კაცის დამოკიდებულებისა სიცოცხლისადმი!“

ძვირფასო მკითხველო, თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე აღფრთოვანებული დავრჩი ამ იდეით და „ფეისბუქითვე“ შევეხმიანე მის ავტორს. პასუხიც მივიღე: — „...ძალიან ნასიამოვნები დავრჩი, რომ მოგეწონათ ეს იდეა! რაც შეეხება ადგილს, ამ შემთხვევაში, სიზუსტე, ალბათ, არც არის აუცილებელი. რიკოთი-ქუთაისის გზაზე, ხომ ერთი-მეორეზე ულამაზესი ადგილებია და, სადაც შესაფერისი იქნება, ზუსტად ის იქნება ის ადგილი!“

აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ ნომადს!

თქვენ?

თუ, „ჰო“!... მაშინ, მოდით, ერთად ვიფიქროთ ამ იდეის განხორციელებაზე!

**ზაურ ფიფია**

◉ პრეტენზია

# უცხოეთიდან შემოსული გზავნილების დაზიანება-დასველება წვიმის ბრალი ყოფილა და არა ფოსტის...

**ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა მომხმარებელთა პრეტენზიები „საქართველოს ფოსტისა“ და ზოგიერთი სხვა კერძო გადამზიდავი ფირმის მიმართ.**

„საქართველოს ფოსტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის **ნია ქირიას** განმარტებით, გაფუჭებული ამანათის მიღების დროს იწყება განცხადების წერა, რის შემდეგაც ტვირთი გაივლის რამდენიმესაფეხურიან შემოწმებას და დაზიანების დადასტურებისას დაზარალებულს ტვირთის ღირებულებას უნაზღაურებენ.

„საქართველოს ფოსტა“ საკუთარ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, EMS წერილებსა და ამანათებს უგზავნის 200-მდე ქვეყანასა და საქართველოს ყველა რეგიონში. ამ ქსელის ამანათები დაზღვეულია კომპანია „ალდაგი ბისიაიში“, გზავნილების დაზღვევა იმ ქვეყანაში ხდება, საიდანაც იგზავნება. აქვე განმარტავენ, რომ მხოლოდ საჰაერო გზავნილები დაიზღვევა.

მოქალაქეები გზავნილების დაზიანების გარდა, მომსახურე პერსონალის გულგრილ, ზერელე დამოკიდებულებითაც არიან უკმაყოფილონი. პერსონალი არაფრად აგდებს ამანათების, ფუთების დაზიანებასა და მათ გარე დაზიანებას.

მაგრამ არის უფრო მძიმე — დასველებულ და გარედან დაზიანებულ ყუთსა თუ ფუთაში სველი თეთრეულის და ხალათის, ან ცალ-ცალი ფეხსაცმლის ამოღების შემთხვევები. ალბათ საკუთარ გზავნილებში გამომგზავნნი უფრო მეტ დეფექტს და დანაკლისს აღმოაჩენენ.

გადამზიდავები მომჩივანებს განცხადებას აწერინებენ და საბოლოო პასუხის მიღებამდე ტვირთს თავისთან ატოვებინებენ, მაგრამ ტვირთის პატრონი ხვდება, რომ ამ დროის განმავლობაში სველი ფუთა შეიძლება მთლიანად დაობდეს. ამის გამო ამანათი სახლში მიაქვს. გადამზიდავებს შვებით ამოსუნთქვის საშუალება ეძლევათ. კითხვას, თუ რატომ არის დროში ასე გაწელილი გზავნილის ვარგისიანობისა თუ დაზიანების დამტკიცების პროცესი, ქირია პასუხობს, რომ ყველაფერი დამოკიდებულია შემოსული, განსახილველი განცხადებების რაოდენობაზე.

„საქართველოს ფოსტაში“ მომხმარებელ იზო ბუნტურს მისი ტვირთის დაზიანებისა და დასველების მიზეზი იმით აუხსნეს, რომ ყველაფერი სახმელეთო ტრანსპორტირების ბრალია. წვიმიან ამინდში მანქანაში შეიძლება ჩავიდეს წყალი, ან პრობლემები შეიქმნას გადმოტვირთვისას. დაზიანება (ძირითადად დასველება) ხდება მაშინაც, როდესაც ტვირთში თხევადი საქონელია. არადა, როგორც ბუნტური აცხადებს, მას აშშ-დან შვილი და და უგზავნიან ამანათებს და ლოგიკის მიხედვით, მის ტვირთს სახმელეთო ტრანსპორტთან შეხება არ უნდა ჰქონდეს. თან ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა.

დიასახლისი ქსენია ხოშტარია ამბობს, რომ მისთვის ახლობლებისგან საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი საქონელი არსებობის ძირითადი წყაროა, მაგრამ ძირითადად მასთან მიდის დასველებული ტანისამოსი. ახალთახალი ქსოვილი საფუძვლიანი დასველების შედეგად კარგავს სიხასხასეს. რომელი თავმოყვარე მარკეტი ჩაიბარებს ამგვარ ნაწარმს იმ ფასად, რომელიც რეალურად ღირს? — კითხულობს ქალბატონი ქსენია.

ფიქსირდება ამანათებიდან, ფუთებიდან ნივთების დაკარგვის შემთხვევები, გამომგზავნთან სატელეფონო კავშირის შემდეგ ირკვევა, რომ ზოგ შეკვრას ფეხსაცმელი აკლია, ზოგს კაბა და ა.შ. საქვეყნოდ გახდა ცნობილი მარინა ახვლედიანის ფაქტი, მან ერთი წლის წინათ „ამაზონის“ ბრიტანული საიტიდან კომპიუტერი გამოიწერა, ტრანსპორტირება უნდა მოეხდინა კომპანია „გლობალ ტრანსპორტერს“, მაგრამ შემკვეთი, ფულის გადამხდელი დღესაც ელის კუთვნილ ნივთს...

პრეტენზიებია საბაჟოს თანამშრომლების მიმართაც. საზღვარგარეთიდან შემოსული თითოეული ფუთა იხსნება და მოწმდება. ეს წესია და არავისში არ იწვევს უკმაყოფილების გრძნობას, მაგრამ ტვირთის მიმღებნი აღშფოთებულნი არიან საბაჟოს ზოგიერთი თანამშრომლის საქმისადმი ველური მიდგომით. ისინი შეკრულს კი არ ხსნიან, პირდაპირ გლეჯენ, რა დროსაც ათასობით კილომეტრგამოვლილი და საქართველოში მშვიდობით ჩამოსული გზავნილი ადრესატის თვალწინ ზიანდება. საერთოდ, თითოეული ფუთა გამომგზავნის მიერ არის დაზღვეული, ეს სავალდებულოა, მაშინ გამოდის, რომ დაზიანებები და მსგავსი შემთხვევები არ უნდა ხდებოდეს და თუ ხდება, თავიანთი გაფუჭებული საქმე თავადვე უნდა გამოასწორონ, — გაღიზიანებას ვერ ფარავენ მოქალაქეები.

როგორც გაირკვა, ფოსტის საფელდეგერო სამსახურს 8 ახალი მანქანა გადაეცა. წესით ამან პრობლემა უნდა მოაგვაროს.

როდესაც ახალი ხელისუფლება ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პრიორიტეტებზე აკეთებს აქცენტებს, უნდა გაითვალისწინონ, რომ გზავნილების დროული, ხარისხიანი, უდანაკარგო მომსახურება ტურისტული სერვისის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და მისი ასე ბედის ანაბარად მიტოვება დაუშვებელია.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ ალიან-ჩალიანი

## საგანგებო ვითარება დიდთოვლობის გამო

**დიდთოვლობის გამო დასავლეთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით, მობილიზებულია ყველა შესაბამისი უწყება, — ამის შესახებ მთავრობის კანცელარიის პრესსამსახურის განცხადებაშია ნათქვამი.**

**მთავრობის პრესსამსახურის ცნობით, საგანგებო რეჟიმში მუშაობენ ენერგეტიკის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, აჭარის მთავრობა და სამაშველო სამსახურები.**

**110-კილოვატიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის დაზიანების აღმოსაფხვრელად, 24-საათიან რეჟიმში მუშაობს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტექნიკური სამსახური.**

**ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე იმ სამუშაო ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა, რომელიც მაღალი ძაბვის გადამცემი ანძის აღსადგენად მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა. ასევე დაზიანებულია დაბალი ძაბვის ხაზები იმერეთში, სამეგრელოში, აჭარაში. ავარიების დროულად აღმოფხვრისთვის ბრიგადები აღმოსავლეთ საქართველოს ფილიალებიდან არის გადაყვანილი. ღამის განმავლობაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებს ელექტროენერგია ყველა რეგიონში მიეწოდებოდა. იმ ადგილებზე, სადაც სარემონტო ბრიგადებმა ქარბუქის და დიდთოვლობის მიუხედავად, მისვლა მოახერხეს, შესრულდა აღდგენითი სამუშოები და აბონენტების ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგა.**

**მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთელი ამ დღეების განმავლობაში საავტომობილო გზებზე ინტენსიური გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. გზის იმ მონაკვეთებზე, სადაც დიდთოვლობის გამო შეზღუდვები მოქმედებს, საავტომობილო მოძრაობა საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობით და კოორდინაციით ხორციელდება.**

**ინტერპრესი**

კიკბოქსინგი



# ქართველთა ტრიუმფი



**დავით ჯავახიამ საფრანგეთის ქალაქ მარსელში გამართულ ევროპის გრან-პრიზე მოიპოვა საჩემპიონო ქამარი, ხვიჩა ქოქუაშვილმა კი, ანტალიაში ჩატარებულ მოყვარულ სპორტსმენთა მსოფლიო ჩემპიონატზე იმარჯვა.**

ევროპის გრან-პრი კიკბოქსინგში ყოველ წელს ეწყობა WKN-ის ორგანიზებით, სადაც მსოფლიოს 120 ქვეყანაა გაერთიანებული და ტურნირზე მხოლოდ საუკეთესო შედეგის მქონე სპორტსმენებს უშვებენ.

დავით ჯავახიამ გრან-პრის მოსაპოვებლად 2 ბრძოლა გამართა — ჯერ ევროპის ჩემპიონ ბულგარელ ათლეტს სძლია, ფინალში კი საფრანგეთის წარმომადგენელი მარტინ ვილფრედი დაამარცხა და კარიერაში მე-4 საჩემპიონო ქამარი მოიპოვა.

4 ბრძოლა მოიგო ხვიჩა ქოქუაშვილმა, რომელმაც ფინალამდე ნორვეგიელი, თურქი და ალჟირელი მოწინააღმდეგეები ჩამოიცილა გზიდან, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი ხორვატი სპორტსმენი ნოკაუტით დაამარცხა.

ამ წარმატებული გამოსვლების შემდეგ ქართველი კიკბოქსიორები საქართველოს კიკბოქსინგის ფედერაციის პრეზიდენტ გოჩა ჯავახიასთან ერთად თბილისში დაბრუნდნენ და მედიის წარმომადგენლებისათვის ღია ვარჯიში გამართეს.

**მანუჩარ გიორგაძე**

ჭიდაობა

# ახალგაზრდები სამზეოზე თამამად გამოდიან

**სასპორტო კომპლექს „არენას“ დარბაზი თავისუფალი სტილით მოჭიდავეების შემდეგ „კლასიკოსებს“ დაეთმო. ასპარეზობის პირველ დღეს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩემპიონები და პრიზიორები ოთხ წონაში გამოვლინდნენ. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდები არ უფრთხიან ავტორიტეტებს და თამამად გამოდიან სამზეოზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ორთაბრძოლებისას ხშირია პროტესტები და ვიდეოგანხილვები, თუმცა არც ერთი შემთხვევა მუშტიკრივამდე არ მისულა, ალბათ, იმიტომაც, რომ დარბაზი არასაკმარისადაა გამთბარი და მწვრთნელ-არბიტრებს ჩხუბისთვის „დუღილის ტემპერატურა“ არ ეყოთ. ახლა კი უშუალოდ ორთაბრძოლების შესახებ:**



84 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი 21-წლამდელებში ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა, გარდაბნელმა რობერტ ქობლიაშვილმა მოიპოვა — მან საქართველოს ჩემპიონობა შეინარჩუნა — ეროვნული ნაკრების ყველა უმთავრესი კანდიდატი დაჯაბნა, მათ შორის ფინალში ევროპის ჩემპიონატის ფინალისტ ვლადიმერ გეგეშიძეს მოუგო. მძიმე წონაში ყველას ახალგაზრდებს შორის ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა, წყალტუბოელმა იაკობ ქაჯაიამ აჯობა, თან ისე, რომ ქულაც არავისთვის დაუთმია, ნაკრების გამოცდილი წევრის — გურამ ფერსელიძის დასამარცხებლად კი 43 წამი ეყო. 66 კილოში შეჯიბრება მოსალოდნელი ფინალით დასრულდა: საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა საჩინო დავითაიამ გადამწყვეტ პაექრობამდე ყველა დაპირისპირება იოლად მოიგო, ფინალში სენაკელი ფალავანი ლონდონის ოლიმპიური თამაშების ბორჯომელმა პრიზიორმა (60 კილოგრამში) რევაზ ლაშხმა დაამარცხა, არადა, შარშან დავითაიამ გამოცდილ მეტოქეს პირველ წრეში აჯობა.

### კვარცხლბეკი

**55 კგ**. 1. გოდერძი დავითაძე; 2. ნიკა ცეცხლაძე; 3. გიზო მელაძე (სამივე — აჭარა), აბესალომ ქათამაძე (ზესტაფონი)

**66 კგ**. 1. რევაზ ლაშხი (ბორჯომი); 2. საჩინო დავითაია (სენაკი); 3, მარად აბულაძე (აჭარა), ანტონ მამაგეიშვილი (ქუთაისი).

**84 კგ**. 1. რობერტ ქობლიაშვილი (გარდაბანი); 2. ვლადიმერ გეგეშიძე; 3. ვახტანგ ხალვაში (ორივე — აჭარა), გიორგი ცირეკიძე (ქუთაისი).

**120 კგ**. 1. იაკობ ქაჯაია (წყალტუბო); 2. გურამ ფერსელიძე (აჭარა); 3. ლევან არაბული, ბექა კანდელაკი (ორივე — თბილისი).

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

## „დორტმუნდს“ ბენდერი და შაჰინი გამოაკლდნენ

**„დორტმუნდს“, „ლევერკუზენთან“ შაბათს გამართულ შეხვედრაში მხოლოდ 3 ქულა არ დაუკარგავს. როგორც გაირკვა, იურგენ კლოპის გუნდს ნური შაჰინი და სვენ ბენდერი გამოაკლდნენ.**

ბენდერმა მოედანი 63-ე წუთზე დატოვა, ხოლო შაჰინმა — 20 წუთის შემდეგ. Goal-ის ცნობით, ბენდერის მოედანზე დაბრუნების დრო უცნობია, მაგრამ ის დღეს ჩემპიონთა ლიგაში „მარსელის“ წინააღმდეგ ნამდვილად ვერ ითამაშებს. რაც შეეხება შაჰინს, მას ოთხშაბათს მოედანზე გასვლის მცირედი შანსი აქვს.

**გიორგი შოთაძე**




რაგბი

## დაკარგული ლიდერობა

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის სასტარტო მატჩს ქვეყნის ჩემპიონ „ლელოსა“ და ბოლნისის „ყოჩებს“ შორის „ავჭალამ“ უმასპინძლა. ბოლნისელებმა ჩემპიონები მივიწყებულ „სარბიელის“ სინზე გამოიწვიეს. დედაქალაქელები ჩემპიონატის სტარტზე „ყოჩებთან“ დამარცხდნენ და მოედანზე რევანშის წყურვილით გავიდნენ. მალევე 8:0 დაწინაურდნენ.



შესვენების შემდეგ, რაც არბიტრებმა მოედანზე ჩხუბისთვის ორივე გუნდის ორ მოთამაშეს წითელი ბარათები უჩვენეს, ლელოელები საგრძნობლად გაიჭრნენ წინ — ზედიზედ ორი ლელო გაიტანეს. როცა ანგარიში გახდა 27:10 ჩემპიონების სასარგებლოდ, მატჩი ყველამ დასრულებულად მიიჩნია. არადა, საფინალო სასტვენამდე დარჩენილ 10 წუთში „ყოჩებმა“ შეუძლებელი შეძლო - 29:27 გაიმარჯვა და „სარბიელის“ სინიც შემართა, თუმცა, საუკეთესო ექვსეულს ვერ დაუბრუნდა. „ლელომ“ ზედიზედ მეორე წაგებული მატჩით ლიდერობა დაკარგა. **მე-10 ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:** „აკადემია“ (თბილისი) — „არმია“ (თბილისი) 13:31 (5:19), „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ჯიქები“ (თბილისი) 17:25 (7:10), „ხარები“ (რუსთავი) — „აია“ (ქუთაისი) 3:15 (3:7), „ბათუმი“ (ბათუმი) — „არმაზი“ (თბილისი) (გადაიდო.).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 10 | 8 | 0 | 2 | 207-121 | 36 |
| 2. ლელო | 10 | 7 | 0 | 3 | 247-138 | 34 |
| 3. ლოკომოტივი | 10 | 7 | 0 | 3 | 224-175 | 32 |
| 4. არმია | 10 | 6 | 1 | 3 | 256-174 | 31 |
| 5. ჯიქები | 10 | 5 | 2 | 3 | 227-163 | 28 |
| 6. არმაზი | 9 | 6 | 0 | 3 | 173-175 | 26 |
| 7. ყოჩები | 10 | 5 | 1 | 4 | 244-217 | 26 |
| 8. ხარები | 10 | 1 | 0 | 9 | 116-238 | 7 |
| 9. აკადემია | 10 | 1 | 0 | 9 | 129-257 | 7 |
| 10. ბათუმი | 9 | 1 | 0 | 8 | 135-283 | 6 |

**ლაშა დიდია**

ინტერნეტიდან

## სამუელ ეტო'ოს ცოლის ღალატში ადანაშაულებენ

**სამუელ ეტო'ო შესაძლებელია ცოლს ღალატობდეს. ამ სკანდალის შესახებ ევროპულ ბულვარულ მედიას სამუელის ცოლის ჟორჟეტა ეტო'ოს მეგობარმა, მსახიობმა დაიანა ლინდისმა ამცნო, რომელმაც ისიც კი თქვა, რომ სამუელი საშინლად ცუდი ქმარი იყო.**

კაცმა რომ თქვას, ჟორჟეტა ეტო'ოს აქამდე არაფერი ეტყობოდა, მოღალატე ქმრისგან შეწუხებული ცოლი თუ იყო. პირიქით, ჟორჟეტა ერთობ თავისუფალი და თავისნათქვამა ქალია და არაერთხელ გადაუღია თამამი ფოტო, სადაც საკუთარი შავტუხა მკერდიც კი „გაუმარიაჟებია“.

სამუელის მხრიდან ცოლის ღალატი ბოროტი ჭორი რომ შეიძლება იყოს, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ სამუელი ბოლო დროს რელიგიაშია გადავარდნილი და ნაკლებად სავარაუდოა, რომ სწორედ ახლა მონდომებოდა ცოლისათვის ღალატი.



**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ იპოთეკა

# ბინა დავაგირავე, ვიმკურნალე!..

**კომერციული ბანკებიდან სესხის გამოტანისას კუთვნილი მოძრავი თუ უძრავი ქონების დაგირავება მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა, რომელსაც ბევრნი წარმატების მისაღწევ ტრამპლინად იყენებენ, თუმცა ასევე მრავლად არიან ხელმოცარულნიც, ვინც გარემოებათა გამო კრედიტის დროულად დაფარვას ვერ ახერხებენ და გირაოს კარგავენ. თავად ქონების დაკარგვის განცდას ისიც ემატება, რომ, უმეტესწილად კრედიტის თანხა მხოლოდ მისი საბაზრო ღირებულების ნაწილია, ამდენად მსესხებელი, მორალურთან ერთად, ფინანსურადაც ზარალობს. საქართველოში იპოთეკასთან დაკავშირებული კომბანკებისა და მოსახლეობის, ანუ იპოთეკარების ურთიერთობამ ბოლო წლებში მეტად მწვავე ხასიათი მიიღო, ვინაიდან კრედიტის დაუფარაობის გამო უამრავი ხალხი, ფაქტობრივად, ქუჩაში დარჩა და ხშირად სრულიად გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება.**



იმის მიუხედავად, რომ საქართველოში დღესდღეობით მოქმედი ორ ათეულზე მეტი კომერციული ბანკის მონაცემები იპოთეკური სესხების შესახებ მთლიანად არ არის გახსნილი, საექსპერტო შეფასებით, კომბანკების მიერ გირაოში აღებული მთელი ქონების ღირებულება დაახლოებით 20 მილიარდი ლარია. მართალია, კომბანკების მიერ გირაოში აღებული და, ვალის დაუბრუნებლობის მიზეზით, უკვე მათ საკუთრებაში გადასული ქონების ღირებულება ისედაც ძალიან დიდია, საექსპერტო შეფასებით, თუ უახლოეს მომავალში ამ სფეროში კანონმდებლობა არ შემუშავდება, რაც, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში არეგულირებს ამ ტიპის ურთიერთობებს, მომავალში მსესხებელთა დაკარგული ქონების მოცულობა კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

როგორც ცნობილია, ბოლო დრომდე გაჭირვებული იპოთეკარები მათი კუთვნილი ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ 2014 წლის 1 თებერვლამდე, შემდგომ კი ექვსთვიანი გაგრძელებით მორატორიუმის გამოცხადების იმედით იყვნენ, მაგრამ ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ პარლამენტმა მორატორიუმის გამოცხადების გადაწყვეტილება არ მიიღო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკების გარდა იპოთეკურ სესხებს ასევე მრავალი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და კერძო პირიც გასცემს და საკანონმდებლო რეგულაციები, ფინანსისტების აზრით, უწინარესად, სწორედ ამ სეგმენტში ურთიერთობათა მოსაწესრიგებლადაა აუცილებელი. ამ მხრივ საგულისხმოა იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივა, რომლითაც კერძო იპოთეკარებს კრედიტების ოდენობის ზედა ზღვარი დაუწესდებათ, რომლის გადამეტების უფლება მათ არ ექნებათ. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მათთვის, ვისაც საკუთარ შესაძლებლობებზე გადამეტებული იპოთეკური ტვირთი აწევს, ეს ვერაფერი შეღავათი იქნება. მართალია, ექსპერტებიც, თავად ფინანსისტებიც, პარლამენტის წევრებიც, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ იპოთეკასთან დაკავშირებული ყველა საქმე კონკრეტულად უნდა იყოს განხილული, სახელმწიფო კი საბანკო სექტორის მოღვაწეობაში არ უნდა ჩაერიოს, რაც, როგორც ჩანს, სამართლიანია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ბანკების დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის ყველა რესურსი უმეტესწილად უკვე გამოყენებული აქვთ. არადა, არსებული მონაცემებით, იპოთეკური სესხების გაუსტუმრებლობის მიზეზით, საცხოვრისიდან გამოსახლება ქვეყანაში 75 ათასზე მეტ ოჯახს ემუქრება.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებით ინფორმაცია გასაჯაროებული ყველა კომბანკს არა აქვს, მაგრამ მათ შორის, ვინც ეს გააკეთა (ასეთი კი თორმეტია), ბოლო ნახევარი წლის მანძილზე (კერძოდ, აპრილ-სექტემბერში) დაახლოებით 149 მილიონი ლარის ღირებულების ქონება აქვთ დასაკუთრებული. აღნიშნულთა შორის არიან „საქართველოს ბანკი“, „ვითიბი ბანკი“, „თიბისი ბანკი“, „პროკრედიტბანკი“, „პრივატბანკი“, „ბითიეი ბანკი“, „ბაზისბანკი“, „კოსნტანტა“, „რესპუბლიკა“, „ხალიკ-ბანკი“, „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველო“ და „ლიბერთი“. თითოეული მათგანის საკუთრებაში გადასული ქონების ღირებულება, ცხადია, ერთმანეთისგან განსხვავებულია, ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნადაც, თუმცა კი, ისიც უნდა ითქვას, რომ მესამე კვარტლის მონაცემები მხოლოდ სამმა კომბანკმა განსაჯაროვა. აქედან გამომდინარე, სავსებით მართებულია ვივარაუდოთ, რომ ეს მაჩვენებელი მოყვანილზე გაცილებით მაღალია.

სავსებით გასაგებია, რომ „იპოთეკურ ხაფანგში“ ამა თუ იმ მიზეზით (რომელთა შორის, არსებული მონაცემებით, წლების მანძილზე პირველ ადგილზე ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა იყო, მეორეზე სამეწარმეო საქმიანობის წამოსაწყებად საჭირო სასტარტო კაპიტალის უქონლობა) აღმოჩენილი ხალხის მდგომარეობა უმძიმესია, მაგრამ ისიც სრული უსამართლობა იქნება, რომ მთელი ეს ტვირთი კომბანკებმა აიკიდონ. კრედიტის დაბრუნებაზე ზრუნვა სავსებით ბუნებრივი საბანკო მოქმედებაა, რადგან, სხვა თუ არაფერი, თავის მხრივ მათაც ხომ აქვთ შესასრულებელი ვალდებულებები საკრედიტო ხაზების გამხსნელთა, ინვესტორთა, გნებავთ, მეანაბრეთა წინაშე?!

ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ საჭიროა კერძო იპოთეკარებისთვის კრედიტის ზედა ზღვრის განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სათანადო იურიდიული ბაზა საერთოდ ამ ტიპის ურთიერთობებს უნდა ჰქონდეს, მათ კი დღესდღეობით მხოლოდ სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს, ისიც საკმაოდ ზერელედ. ეს საქმე კი, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ეროვნულმა ბანკმა უნდა ითავოს და ყველა შესაბამისი განმარტება, პროცედურა, ტერმინოლოგიაც კი მკაფიოდ განსაზღვროს და გარკვეულ ჩარჩოებში მოათავსოს. ისინი იმასაც უსვამენ ხაზს, რომ მოსახლეობის საერთო მატერიალური მდგომარეობის დაბალი დონის გამო, ბანკებში საცხოვრისების იპოთეკით დატვირთვის პროცესი კვლავაც მაღალი ინტენსივობით გაგრძელდება, რასაც გადახდისუუნარო პირების რიცხვის მატება და, შესაბამისად, მათ მიერ დაკარგული ქონების მოცულობის ზრდა მოყვება.

ამ ფონზე, მიუხედავად იმისა, რომ კომბანკების საკუთრებაში უამრავი სახლი თუ ბინაა გადასული, რომელთა გაყიდვითაც მათ თავიანთი ფული უკან უნდა დაიბრუნონ, ბოლო დროს საცხოვრის ფართებზე მოთხოვნა საგრძნობლად შემცირდა. ეს ეხება როგორც ახალ ბინებს, ასევე უკვე პატრონგამოცვლილებს, რის შედეგად, ბუნებრივია, დაიკლო ფასმაც. ბინების მაძიებელთა უმეტესობა საცხოვრისის დროებით დაქირავებას ანდა მის გირაოთი (ე.წ. „ატსტუპნოით“) აღებას ცდილობს. თანაც ამ შემთხვევაში ერთგვარ პარადოქსთან გვაქვს საქმე – ასე ვთქვათ, „მეორადი“ ბინები თბილისის გარეუბნებში უკეთ იყიდება, ვიდრე ცენტრში. თუმცა კიდევ უფრო დიდი პარადოქსი, ალბათ, ის არის, რომ მართალია, დაბალფასიან ბინებზე (ძირითადად, გარეუბნებში, რომელთა კვადრატული მეტრი დაახლოებით 500 დოლარი ღირს) უფრო მეტი მოთხოვნაა ეგრეთ წოდებულ ელიტურ საცხოვრისებზე, სადაც კვადრატული მეტრის ფასი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია. ბუნებრივია, რომ ასეთი ბინების არც ბაზარია დიდი, არც მყიდველია ბევრი, მაგრამ, მოთხოვნა, არსებული მონაცემებით, სტაბილურია.

ჩვენ კი სასაცილო ლაპარაკს ვიწყებთ, რომ მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა უაღრესად მძიმეა.

ვისთვის როგორ, ბატონებო!

**ოთარ ტურაბელიძე**

---

სანთელი

## ნანა ყიფიანის გამოსათხოვარი



*შენი სიცოცხლე ახლა იწყება...*

დღეს ამაღლდები მარადჟამს ზეცად,
ცხოვრების წიგნი ბოლო გვერდს კეცავს,
განა მოგიწყობს განსჯას უფალი,
მიხვალ სამოთხეს – თავისუფალი.
სული ბობოქრობს, ელავს და ტოკავს,
ედემის კართან იხილავ კოკას.
იქვე ლოდინით დაღლილი დედა,
(ამას ყველაფერს თვალნათლივ ვხედავ).
აღტკინება და თავდავიწყება,
შენი სიცოცხლე ახლა იწყება,
მაშ, გაუმარჯოს უახლეს ხანას
უკვდავებაში გადასვლას, ნანა!

**ომარ ქავთარაძე**

---

◉ ალიან-ჩალიანი

## ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი სოჭის ოლიმპიადას არ დაესწრება

**ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ვივიან რედინგი სოჭის ოლიმპიადას არ დაესწრება რუსეთში სექსუალური უმცირესობების მიმართ არსებული კანონმდებლობის გამო. ამის შესახებ „ბიბისის“ რუსული ბიურო იუწყება.**

**„რა თქმა უნდა, სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე არ ჩავალ, ვიდრე რუსეთში სექსუალურ უმცირესობებს მოქმედი კანონმდებლობით მოეპყრობიან“, – დაწერა ვივიან რედინგმა „ტვიტერის“ საკუთარ მიკრობლოგზე. რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშს ბოიკოტი გამოუცხადა გერმანიის პრეზიდენტმა იოახიმ გაუკმაც, რომელმაც ამ გადაწყვეტილებით პროტესტი გამოთქვა რუსეთში ადამიანთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ.**

**ინტერპრესი**

---

◉ ალიან-ჩალიანი

## ციხის მაყურებლები „გაგულავდნენ“

**ადამიანის უფლებების თავისუფლების კუთხით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, პენიტენციურ სისტემაში ე.წ მაყურებლების როლი გაზრდილია. ამ საკითხს ომბუდსმენი უჩა ნანუაშვილი ქვეყანაში არსებულ ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ასახელებს.**



**– ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა, კერძოდ, ე.წ. მაყურებლების როლის გაზრდა, ასევე სამედიცინო მომსახურება და ორი პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებები. ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა სიცოცხლისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების ეფექტური დაცვა“, – განაცხადა ნანუაშვილმა ანგარიშის პრეზენტაციაზე.**

**მისივე განმარტებით, 2013 წელს საგანგაშო იყო მთავარი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე წამებაში ბრალდებული ერთ-ერთი პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლების ფაქტი.**

### ნანუაშვილი მინაშვილის გავლენის ქვეშ მოექცაო...

**– ამის შესახებ სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა უჩა ნანუაშვილის იმ განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომელიც საპატიმროებში ე.წ. მაყურებლების გაძლიერებას შეეხებოდა.**

**– უჩა ნანუაშვილი ვერ დაასახელებს ვერც ერთ ფაქტს, რომ დღეს უფრო ძლიერი იყოს ე.წ. მაყურებლის ინსტიტუტი. პირიქით, ყველა გავლენიანი, თუ ვინმე ქურდული სამყაროს წევრი იყო, არის გადაკეტილი, – განაცხადა სოზარ სუბარმა. მისივე განცხადებით, ეს ინსტიტუტი ძლიერი იყო, როცა მათთან თანამშრომლობდა ადმინისტრაციული ხელისუფლება.**

**– ისინი მაყურებლებს იყენებდნენ სხვა პატიმრების დასასჯელად და უჩა ნანუაშვილი როცა ფაქტების გარეშე ლაპარაკობს, არის სამწუხარო. იგი აკაკი მინაშვილის ცრუ განცხადებების ქვეშ არ უნდა მოექცეს. თუ აქვს ფაქტები, მოიტანოს და დავუმტკიცებთ, რომ ასე არ არის, – განაცხადა მინისტრმა.**

**მისივე თქმით, დღეს სახალხო დამცველმა სხვა პრობლემა ვერ მონახა და კონკრეტული პირები გავლენის ქვეშ მოექცა. – ეს არ ამართლებს მის განცხადებებს. უჩა ნანუაშვილი კარგი პიროვნებაა, კარგი სახალხო დამცველია, მაგრამ, რასაც დღეს ის ლაპარაკობს, არ არის დასაბუთებული, – განაცხადა მინისტრმა.**

**ინტერპრესი**

## სატირა(ლი) ლექსად

# „ახალი“ თბილისის სურათები

ქუჩის ხმაურს შევერიე,
თითქოს შევიჭერი ომში,
ძელსკამიდან მესალმება
ჩემი მეგობარი „ბომჟი“.

აგერ ქალი – ბავშვიანი,
მათხოვარი – „შტატიანი“,
თავის მოჭრა – დღევანდელი
საქართველოს მატიანის.

ხელში ვუდებ ოცთეთრიანს,
თითქოს მხსნელად ვევლინები,
აქვე დგანან – პურს ყიდიან
სოხუმელი დევნილები.

ეს დევნილი ქუჩაშია,
ის დევნილი მეტროშია,
ხილი ტროტუარზე ბზინავს,
ბოსტნეული ვედროშია.

პრესას ყიდის „მწიგნობარი“,
გუშინდელი ჩინოვნიკი,
სამწვადესთან ყაყანია,
იქვე უდგათ ღვინო ტიკით.

აქეთ ნაირ-ნაირია,
სოსისები, სარდელები,
არ გვაკლია არც ჩინური
მასაჟი და ბორდელები.

ჩვენ ხომ ევროპელები ვართ,
თანაც, ვითომ, ქართველები,
ბიჭოს, აგერ რუსთაველზე,
გაუხსნიათ თურქებს კაფე
და ჩაშუშულ-მოხრაკული
მაცდურ სურნელებას აფრქვევს.

„თავი მტკივა, გული მტკივა“,
მკვნესარებდა საიათნოვა,
ის, რაც იყო ძმაკაცებო,
წავიდა და აღარ მოვა!

ვხედავ, როგორ იზლაზნება,
მახათაზე დილის ბური
და ღმერთსა ვთხოვ –
დააბრუნოს
ის სილაღე – თბილისური!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## დაიჯესტი

### ზარების სიცილი

**შვეიცარიის ქალაქ ბაზელის სამრეკლო ბოლო ხანებში დროს არა ზარების რეკვით, არამედ... სიცილით აღრიცხავს.**

„ზარის სიცილი“, რომელიც ყოველ 15 წუთში ერთხელ წმინდა ელისაბედის ეკლესიიდან ისმის, მხატვრული პროექტის ნაწილი გახდება. თუკი ვილაცას ზარების რეკვის მაგივრად სიცილის გაგონება ურჩევნია, ამაში შეუძლებელი და მკრეხელური არაფერია, აცხადებენ ღვთის მსახურები. სხვა საქმეა, თუ როგორ აღიქვამენ ამას თავად კათოლიკე მორწმუნეები. მართლმადიდებლობაში კი ასეთი რამ ცალსახად მიღებული არ არის.

### სიყვარული... რობოტთან

**ჰოლანდიის მაასტრიჰტის უნივერსიტეტის სტუდენტმა დევიდ ლევიმ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი დისერტაციის „ხელოვნურ პარტნიორებთან ინტიმური ურთიერთობების“ დაცვაში მიიღო, რის შემდეგ ამ თემას კიდევ ერთი ნაშრომი – „სიყვარული და სექსი რობოტებთან“ მიუძღვნა... მისი მტკიცებით, საუკუნის შუა ხანაში მათ შორის ქორწინებებიც დაიწყება!**



– ეს პროგნოზი პირველმა რობოტოტექნიკის სფეროში ევროპის კვლევითი ქსელის დამაარსებელმა ჰენდრიკ კრისტენსენმა გამოთქვა, მე მას უბრალოდ მხარი დავუჭირე, –თავს იმართლებს დოქტორი ლევი. – მიმდინარე ტენდენციების შეფასების შედეგად იმ დასკვნამდე მივედი, რომ ახლო მომავალში ანდროიდები იმდენად „გაადამიანურდებიან“ – ფუნქციურად, ემოციურადაც კი, რომ ადამიანები მათ შეყვარებას, ასე ვთქვათ, ოჯახების შექმნასაც დაიწყებენ. თავდაპირველად საზოგადოება ამას გაკიცხავს, მაგრამ შემდეგ ყველაფერს შეეგუება. ადამიანები ხომ მეტად უჩვეულო არსებანი არიან, თუმცა კი, რობოტის ცოლად მოყვანა, შესაძლოა, ბევრმა არ მოინდომოს...

### კობრა... ჰაერში

**თვითმფრინავში უჩუმრად შეტანილმა შხამიანმა გველმა თავისივე პატრონი დაკბინა.**

დეკემბრის პირველ რიცხვებში ეგვიპტური ავიაკომპანია „ეიერ ეჯიპტის“ ერთ-ერთი თვითმფრინავის სალონში, რომელიც სამარშრუტო ფრენას ასრულებდა, უცბად ერთ-ერთი მგზავრის საზარელი კივილი გაისმა. აღმოჩნდა, რომ იორდანიის რომელიღაც მოქალაქემ ხელბარგით სალონში კობრა შეიტანა. უდროო დროს გაღვიძებული ქვეწარმავალი ჩანთიდან ამოსრიალდა და როცა პატრონმა მისი დაჭერა და ადგილზე დაბრუნება სცადა, ხელში წვდა. პატრონი რომ დაგესლა, კობრა სავარძლებს შორის გასრიალდა, რამაც მგზავრთა შორის საშინელი პანიკა გამოიწვია. საჰაერო ხომალდის კაპიტანმა ჰურგადას აეროპორტში ექსტრემალური დაჯდომა გადაწყვიტა. გველის ვაი-პატრონი მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს, სადაც სასწრაფო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ მას პოლიციისთვის იმის ახსნა მოუწევს, თუ როგორ შეძლო შხამიანი გველის კონტროლის გვერდის ავლით თვითმფრინავში შეტანა.

თავად კობრა კი, გავრცელებული ინფორმაციით, შეშინებულმა მგზავრებმა ფეხით გათელეს.

### ლოთი ქალაქის თავი

**ტეხასის შტატის ქალაქ ლაჰიტასის მერი... ნამდვილი თხაა. ბილი კლეის „თხების დინასტია“ ქალაქს 1986 წლიდან მართავს და, შეთავსებით, ადგილობრივი ლუდის კომპანიის ემბლემას წარმოადგენს.**

მართალია, 2002 წელს ერთმა გადამთვრალმა ლაჰიტასელმა კიკინა ვილი დაკოდა, მაგრამ ის მაინც მერად დარჩა. არადა, ვილის დაკოდვის საბაბი ერთობ ორიგინალური იყო: „ამ რქიანმა მთელი ლუდი გამოწრუპა!“ – აღშფოთებული იყო ვილის დამკოდავი. თუმცა, სისხლის სამართლის საქმე მაინც მიჩქმალეს.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ქართული პრესიდან



### ვინ ლობირებს ახალ ხელისუფლებაში უცხოეთიდან შემოსულ გრანტებს?

როგორც „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია აცხადებს, ყველა გრანტი სახელმწიფოებრივ საქმეს არ ხმარდება. ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს მკვეთრი პოზიცია. გრანტმა დააფინანსა ის, რომ უდანაშაულო მღვდლები გაასამართლეს? რომ არ ყოფილიყო ხელისუფლების ასეთი უპრინციპო და არაქართული პოზიცია, ხომ არ გაასამართლებდნენ? ვიღაცამ გრანტი აიღო და ყვიროდა. მღვდლები დაიჭირეს, მაგრამ ხელისუფლებას ჭკუა და სინდისი არ უნდა ჰქონდეს, რომ ეს არ გააკეთოს?

„ალია“

### „მურთაზ ზოდელავა უნდა დაისაჯოს“

– მიაჩნია ექსპერტ გია ხუხაშვილს, – ეს ადამიანი იყო მთავარი პროკურორი და ის რეგულარულად იყო დაკავებული იმ სისტემის დანაშაულებების პრეზენტაციით. ჩვენ გვახსოვს მისი პრესკონფერენციები. ჩხატარაშვილი იყო მისი მოადგილე და მისი მონაწილეობის გარეშე საქმეები არ კეთდებოდა. ჩემთვის ნაკლები დამნაშავეა შემსრულებელი. დღეს დამკვეთი თავს აცხადებს მთავარ ოპოზიციურ ძალად და შემსრულებელი მიდის ციხეში. მთავარია, რომ დაიწყოს დამკვეთების დასჯა.

„ახალი თაობა“

### ავტოფარეხში მცხოვრები ქალბატონი დახმარებას ითხოვს

ქუთაისში, ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე ბეტონის ავტოფარეხში 9 წელია სოციალურად დაუცველი 51 წლის ქალბატონი ცხოვრობს, რომელსაც რამდენიმე წელია ავთვისებიანი სიმსივნე აქვს, რის გამოც საწოლიდან ვერ დგება. მძიმე დაავადებით დასნეულებულ მარგალიტა მაკარიძეს ერთადერთი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალიშვილი ჰყავს. ქუთაისში თოვლის გამო ოჯახი დახმარებას ითხოვს. „არ გვაქვს შუქი, რადგან ამ გარაჟს არა აქვს მისამართი, არ დაგვხმარებია არავინ იმიტომ, რომ მერიაში გვეუბნებიან, ვერ მივაგენით თქვენს გარაჟსო. ერთი თვეა საწოლიდან არ ავმდგარვარ, ალბათ, მალე გარდავიცვლები და ყველაზე უფრო ჩემი ავადმყოფი შვილი მეცოდება, – აცხადებს ქალბატონი.

„რეზონანსი“

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**შუაღამისას** ცოლი ქმარს აღვიძებს.
– რა მოხდა? – გაკვირვებულია ქმარი.
– არაფერი, უბრალოდ ვერაფრით გამიგია, როგორ შეგიძლია ასეთი პატარა ხელფასის პატრონს ასეთი ღრმა და უშფოთველი ძილით გეძინოს!

* * *

– **რატომ** არის, რომ გოგოები ასეთი საყვარლები და ანგელოზებივით კეთილები არიან, ქალები კი, ძალიან ხშირად ბრაზიანები და კუდიანებივით მავნენი?
– საქმე ეს არის, რომ გოგო ღმერთმა შექმნა, ქალად კი კაცმა აქცია.

* * *



**მიდის** ვირი მინდორში, უცებ სერჟანტს დაინახავს.
– შენ ვინა ხარ? – ეკითხება ვირი.
სერჟანტი შეცბა მოლაპარაკე ვირის დანახვით, მაგრამ არ შეიმჩნია, გარშემო მიმოიხედა და რომ ნახა არავინააო, – ოფიცერი ვარო, – ყინჩად უპასუხა. – შენ კი ვინა ხარ? – შეუბრუნა შემდეგ კითხვა ვირს.
ვირმა მიმოიხედა გარშემო და რაკი ვერავინ დალანდა, სერიოზულად უპასუხა – მაშინ მე ცხენი ვარ!

* * *

– ამას წინათ მთაზე ვიყავით ასული, მწვადის შეწვა გვინდოდა, მაგრამ კოცონი ვერ გავაჩაღეთ.
– ალბათ, ძალიან მაღლა იყავით ასული და ჟანგბადის ნაკლებობა იყო.
– გაიგე, რას ამბობენ ჭკვიანი ადამიანები? ჟანგბადის ნაკლებობა იყოო. შენ კიდევ თუთიყუშივით იმეორებდი – შეშაა საჭირო, შეშაა საჭიროო...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24